ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

იანვარი
№ 1 1977 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




# მოგილოცავთ ახალ წელს, ქვირფასო მეგობრებო!



ჩვენში ყველგან საზეიმო ვითარებაში აღინიშნება თქვენი დაბადების დღე. და დღეს რესპუბლიკაში არ არის ქალაქი თუ სოფელი, სახლი თუ ოჯახი, სადაც ადამიანები თქვენ, ძვირფასო, ლეონიდ ილიას-ძევ, არ გისურვებდნენ ყოველივე იმას, რასაც უსურვებენ ახლობელს და ძვირფასეს ადამიანს: ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, სიხარულსა და დიდ ბედნიერებას, ახალ ძალღონესა და ახალ ენერგიას — ყველა საბჭოთა ადამიანის, მთელი პროგრესული კაცობრიობის სასიხარულოდ და საბედნიეროდ, ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჩვენი ლენინური პარტიის სადიდებლად, კომუნიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართვიდან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის
გენერალური მდივანი ამხანაგი
ლეონიდ ილიას-ძე
ბრეჟნევი

# კომუნიზმის საქმის ერთგულება

ჩვენი დიადი, სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთობით შედუღაბებული საბჭოთა ხალხი შთაგონებით ასრულებს თავის ისტორიულ საქმეს — აშენებს ახალ საზოგადოებას. ახლა, განვითარებული სოციალიზმის პირობებში, სულ უფრო სრულად ვლინდება მისი უშრეტი ენერგია. კომუნისტური აღმშენებლობის გაფართოებასთან ერთად იზრდება ლენინური პარტიის ხელმძღვანელი როლიც. მისი ნება, მძლავრი და ნათელი კოლექტიური გონება წარმართავს მშრომელთა შემოქმედებითს მასებს უზენაესი მიზნისაკენ — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

პარტია და ხალხი განუყოფელი არიან. საბჭოთა ადამიანები მუდამ მშობლიურ პარტიასთან ერთად არიან, რომელიც მტკიცედ მიუძღვის მათ ერთადერთი სწორი გზით, განუხრელად და უსაზღვროდ ერთგულია ლენინის საქმისა, კომუნიზმის საქმისა. ჩვენი ქვეყნის მილიონობით მშრომელი გულით და გონებით, მისწრაფებებითა და გამარჯვებებით პარტიასთან, მის საბრძოლო შტაბთან — ცენტრალურ კომიტეტთან არის.

მათი საერთო გრძნობები შესანიშნავად გამოვლინდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის — კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, მშვიდობის და სოციალური პროგრესის მგზნებარე მებრძოლის, თანამიმდევრული ლენინელი მარქსისტის დაბადების 70-ე წლისთავის იუბილეზე. ეს გრძნობები მკაფიოდ გამოხატეს მისალმების გულითად სიტყვებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, გამოხატეს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის მშრომელებმა თავიანთ მილოცვებში, რომლებშიც ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს. ბევრი მისალმება მოდის აგრეთვე ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრებისაგან, კლასობრივი ძმებისაგან. ამ მისალმებებში ყოველმხრივ არის გაშუქებული ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის უდიდესი წვლილი კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე უდიდესი დამსახურებისათვის იგი ლენინის ორდენითა და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის" მეორე მედლით დაჯილდოვდა.

მაღალი ჯილდოს მიღებისას თავის მგზნებარე, გულშიჩამწვდომ სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „თუ იმ პოსტზე, რომელიც მე ახლა პარტიამ მომანდო, სამშობლოს აღიარებას იმსახურებ (ამას კი მარტო ახლა გადმოცემულ ჯილდოს კი არ მივაკუთვნებ, არამედ საბჭოთა ადამიანების ათიათასობით წერილს, რომლებშიც იწონებენ ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს საქმიანობას და ამ საქმიანობაში შეტანილ ჩემს წვლილს, გამოთქვამენ კეთილ სურვილებს), ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ამხანაგებო, ერთად ვახორციელებთ პარტიული ყრილობების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, — ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცების, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის შემდგომი ამაღლების პოლიტიკა, პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის და მყარი მშვიდობისათვის მტკიცე ბრძოლის პოლიტიკა, — სწორი პოლიტიკაა! და ჩვენ მომავალშიც მტკიცედ განვახორციელებთ ამ კურსს!"

საბჭოთა ადამიანები უდიდესი პატივისცემისა და მად-

2506 3
საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიერების გრძნობით არიან გამსჭვალულნი ლენინური ტიპის ხელმძღვანელის — ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი და მის ნაყოფიერ მოღვაწეობას უკავშირებენ ყველა იმ უმთავრეს მოვლენას, რომლებიც პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში მომხდარა უკანასკნელი თორმეტი წლის მანძილზე, უკავშირებენ საბჭოთა კავშირის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმატებებს, გრანდიოზული მასშტაბისა და სიღრმის სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნებს, რომლებიც ამ წლებში განხორციელდა.

განვლილი პერიოდის მოვლენებსა და პროცესებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ბედ-იღბლისათვის. უწინარეს ყოვლისა ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სამი ყრილობა, რომლებმაც დაგვისახა სოციალისტური საზოგადოების განვითარების ახალი პერსპექტივები, უზრუნველყო მისი ეკონომიკის მძლავრი აღმავლობა და ხალხის კეთილდღეობის სისტემატური გაუმჯობესება. ეს არის ჩვენი საზოგადოების გადასვლა განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უშუალო აღმშენებლობის დასაწყისი. ეს არის საზოგადოებრივი ურთიერთობის დინამიკური განვითარება, ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის შეკავშირების, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცება.

საბჭოთა ხალხის გმირული გარჯით შეიქმნა სოციალისტური სამშობლოს გიგანტური მატერიალური და სულიერი პოტენციალი. ამ გზის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო თავისი შედეგებით უთვალსაჩინოესი მეცხრე ხუთწლედი. საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალ აღმავლობას მძლავრი იმპულსი მიანიჭა სკკპ XXV ყრილობამ, რომელიც მოასწავებდა ჩვენი სამშობლოს გასვლას კომუნისტური მშენებლობის ახალ ისტორიულ მიჯნებზე. ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა ეს გადაწყვეტილებანი თავიანთი საქმიანობის პროგრამად აღიქვეს და კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო. მეათე ხუთწლედის პირველი წელი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ყრილობის წინასწარდასახულობათა განხორციელების გზაზე.

საბჭოთა კავშირის ძლიერების ზრდასთან ერთად მტკიცდება მისი პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენს ქვეყანას არასოდეს არ ჰქონია ისეთი ავტორიტეტი და გავლენა მსოფლიოში, როგორიც ახლა აქვს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აქტიური საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის შედეგად, სოციალისტური ქვეყნების, მთელი პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ძალების მჭიდრო დარაზმულობის მეოხებით უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური გამარჯვება მოვიპოვეთ: საერთაშორისო ურთიერთობაში დაიწყო შემობრუნება „ცივი ომიდან“, დაძაბულობიდან შენელებისაკენ, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ.

მტკიცე მშვიდობისა და სოციალური პროგრესისადმი ჩვენი პარტიისა და ხალხის მხურვალე მისწრაფება აისახა სკკპ XXV ყრილობაზე მიღებული მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამაში. ჩვენი ქვეყნის კომუნისტები, მშრომელები ამაყობენ იმით, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მსოფლიოს ყველა კეთილნების ადამიანის მადლიერება მოიხვეჭა, როგორც ამ კეთილშობილური, ჰუმანური მიზნების შთაგონებულმა და მგზნებარე მებრძოლმა. მისი ღვაწლი მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცებაში მოძმე ქვეყნების უმაღლესი ჯილდოებით აღინიშნა.

ჩვენი პარტია ყველა საშინაო და საერთაშორისო საქმეში ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით, რომელსაც შემოქმედებითად იყენებს და ავითარებს თანამედროვე პირობებში. საბჭოთა ადამიანებმა იციან, თუ რაოდენ დიდია ლ. ი. ბრეჟნევის პირადი წვლილი მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შემდეგ განვითარებაში. პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი რჩევისათვის მუდამ მიმართავენ ლენინს, მის დიად სახეს. ეს უკვდავი მემკვიდრეობა, გამარჯვების ლენინური მეცნიერება ყველა კომუნისტისათვის იყო და არის ცხოვრების ორიენტირი, ფასდაუდებელი დასაყრდენი და ბურჯი დღევანდელ სინამდვილეში.

წინ ბევრი დიდი და პასუხსაგები საქმე, აღმშენებლობის უდიდესი ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი. საბჭოთა ხალხი განუხრელად წყვეტს ამ ამოცანებს და პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ მიდის კომუნიზმის მშენებლობის ახალ წარმატებათა გზით.

„პრავდა“, 1976 წლის 21 დეკემბრის მოწინავე



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 1 (481) იანვარი, 1977 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1977.

ეროვნული ბიბლიოთეკა







მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე
(პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია
(მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დავით სეფიაშვილი
კორექტორი ქეთევან წერეთელი

# გილოცავენ სახელმწიფო პრემიის ლაურეატები




ეროვნული ბიბლიოთეკა

□

ახალ წელს სოფელშიც შევხვედრივარ. მახსოვს, ბავშვობაში როგორ მიხაროდა კალანდის მოახლოვება. დიდი სამზადისი იყო. ყოველ ოჯახში ღორი ან ბურვაკი უნდა დაკლულიყო. მთელს სოფელში შაშხისა და „იზაბელას“ სურნელება იდგა.

მეც ვემზადებოდი ახალი წლის შესახვედრად. შაშხის, ტკბილი კვერისა და ჯანჯუხის სურნელებას დენთის სუნი შეერეოდა ხოლმე.

ახლაც ბავშვივით მიხარია ახალი წლის მოსვლა; იმიტომ კი არა, რომ თოფი მაქვს დასაცლელი, ქალაქში თოფის გასროლა ავკაცობად მიმაჩნია.

დიდმა რუსთაველმა გვასწავლა: „მაშინ ლხინი საამოა, რა გარდიხდის კაცი ჭირსა“. დიახ, როცა მთელი წელიწადი შენს ძალასა და ენერგიას შენს საყვარელ საქმეს შეალევ, გავიწყდება განვლილი უძილო ღამეები, დაძაბული დღეები, როცა ქვის ლოდებს შევეჭიდები, სულს ჩავუდგამ ხოლმე, ჩემი შემოქმედების გამარჯვების წამს მე იმ დენთის სუნს ვგრძნობ, ასე დიდ სიამოვნებას რომ მგვრიდა ბავშვობაში.

1976 წელი ჩემთვის ბედნიერი იყო. ჩემს ნამუშევარს „კიდევაც დაიზრდებიან“ სახელმწიფო პრემია მიენიჭა. მომავალი წლისათვის გეგმები ძალზე ბევრი მაქვს. ჩემს საყვარელ ქართველ ხალხს ვუსურვებდი ბედნიერი, ბარაქიანი ყოფილიყოს მისთვის 1977 წელი.

დავილოცოთ მეგობრებო! დღეგრძელი იყოს საქართველო! უცოცხლოს, უმრავლოს გამრჯე და გონიერი ჭაბუკები და ქალიშვილები. კიდევაც დაზრდილიყვნენ ჩვენი გამხარებლები!

**მერაბ ბერძენიშვილი,**
მოქანდაკე.



□

ახალი წლის საზეიმო დღეებში ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს მინდა ერთი საგულისხმო ამბავი მოვუყვე.

ყოველთვის, როცა პრესაში გამოქვეყნდებოდა ხოლმე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო მინისტრთა საბჭოს დადგენილება სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ, დაძაბული ყურადღებით ვკითხულობდი ამ დადგენილებას.

ახალ ლაურეატებს შორის თუ კი ჩვენი თანამემამულეების გვარებიც შემხვდებოდა, სიამაყის გრძნობით მევსებოდა გული. მიხაროდა, რომ მოძმე ერების წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს ღირსეულმა შვილებმაც დაიმსახურეს სახელმწიფო პრემია.

ამ ორიოდე თვის წინათ ისევ დაძაბული დაინტერესებით გადავშალე გაზეთი. ყურადღებით ჩავიკითხე პრესაში გამოქვეყნებული გვარები და რა დასამალია, სიხარულით ავივსე. 1976 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატებს შორის მეც ვიყავი დასახელებული.

მე, რიგით მუშას, უდიდესი ბედნიერება მხვდა წილად! თავდადებული შრომის ასეთი დაფასება, ფეხსაცმლის ფაბრიკის უჩინარი მუშის ასეთი განდიდება, სახალხო პატივისცემის კვარცხლბეკზე ამაღლება მხოლოდ აქ, ჩვენთან, მუშათა და გლეხთა სახელმწიფოშია შესაძლებელი!

მხოლოდ ლენინის მიერ დაარსებულ და გამოწრთობილ პარტიას, მხოლოდ ჩვენს მთავრობას, ჩვენს ხალხს ძალუძს თავდადებულ შრომას მიუზღოს ის — რაც მე მოვიხვეჭე.

სახელმწიფო პრემიის ლაურეატ მუშას ისღა დამრჩენია, რომ გაორკეცებული ენერგიით შევეჭიდო საქმეს. დაე, ახალი წელი თქვენთვისაც ახალი გამარჯვებებისა და სიხარულის წელი გახდეს, ძვირფასო მეგობრებო!

**გივი რიმნისთაველი,**
თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის „ისანის“ ტყავის გამომკვეთთა ბრიგადირი.

□

ჩვენი ქვეყნის მძიმე მრეწველობაში კიდევ ერთი თვალსაჩინო სიახლე დაინერგა: სვერდლოვსკის ოლქის ქალაქ პერვოურალსკის მილსაგლინავი ქარხნის დგანებზე ამუშავდა ეგრეთ წოდებული ადაპტური ავტომატიზებული მართვის სისტემა.

ამ სისტემით მილების გლინვის მთელი ტექნოლოგიური პროცესი ახლა ავტომატიზებულია. ეს საშუალებას გვაძლევს ზუსტად დავიცვათ მილების გეომეტრიული ზომები და ისინი ჩვენთვის საჭირო პროფილით გამოვუშვათ.

ამ სიახლის ავტორებს, რომელთა შორის მეც ვარ, მეცნიერების დარგში 1976 წლის სახელმწიფო პრემია მიენიჭათ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს სიამოვნებით ვაუწყო, რომ მილების გლინვის ტექნოლოგიური პროცესის ავტომატიზაციის სამუშაოები რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაშიც ხორციელდება. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ქარხნის საწარმოში ტექნოლოგიური რეჟიმები მალე მთლიანად ავტომატური იქნება.

დაე, ახალი წელი ქართველი მეტალურგების შემდგომი წინსვლისა და გამარჯვებათა წელი იყოს! დაე, 1977 წელმა კვლავაც ახალი წარმატებები მოუტანოს ჩვენს ხალხს, რომელიც თავდადებით იბრძვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ხუთწლედის მეორე წლის წარმატებით დაგვირგვინებას გისურვებთ!

ბედნიერ ახალ წელს, ჯანმრთელობასა და სიხარულს გისურვებთ!

მრავალჟამიერ, მეგობრებო!

**ანდრო რურუა,**
რუსთავის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის „ავტომატმრეწვის“ განყოფილების გამგე.



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში აღნიშნა: „სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა პარტიას უმნიშვნელოვანეს საერთო-სახელმწიფო საერთო-სახალხო ამოცანად მიაჩნია".

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მშრომელები ახლა ერთსულოვანი მონდომებით იბრძვიან მათ წინაშე დასახული ამოცანის გადაჭრისათვის — სოფლის მეურნეობის შემდგომი წინსვლისა და განუხრელი აღმავლობისათვის.

ამ საერთო-სახალხო ლაშქრობაში ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებიც მონაწილეობენ. საგულდაგულოდ ეჭიდებიან საქმეს ქართველი მეჩაიეები და მეციტრუსეები, მევენახეები და მეხილეები, მიწისმუშა-მეთამბაქოეები თუ მეცხოველეები. ყველას დიდი და ნათელი მიზანი ამოძრავებს — წარმატებით დაძლიონ მეათე ხუთწლედის მიჯნები, მეტი ხვავი და ბარაქა შემატონ სამშობლოს!

ახალი წლის წინ ლაგოდეხის რაიონს ვესტუმრეთ. მრავალდარგოვანია ამ რაიონის სოფლის მეურნეობა. აქ მოჰყავთ ოცამდე სახეობის მარცვლეული, ყურძენი, თამბაქო, ხილი, ტექნიკური და სხვადასხვა მრავალწლიანი კულტურები.

რაიონს სახელი გაუთქვეს საქმის მცოდნე და შრომისმოყვარე მშრომელებმა. ისინი ბევრნი არიან. ყველას შესახებ წერა შეუძლებელია. შეუძლებელია, მაგრამ საკმარისია რამდენიმე მათგანის გულში ჩაიხედო, რომ ყველას გულისთქმა ამოიკითხო, ნათლად დაინახო ის სულისკვეთება, ფიქრი და შემართება, რითაც ახლა ჩვენი მშრომელები არიან განმსჭვალულნი.

სწორედ ამ რამდენიმე რიგითი მშრომელის შესახებ მინდა მოვუთხრო მკითხველებს.

# ახალი წლის წინ-ლაგოდეხში...



● თამარ ბეგიაშვილი.

● გერმანე ხარშილაძე.

● ანზორ ჭალიაშვილი.

ანზორ გოგოლაძის ფოტო.

## ჩვეული შემართებით

ანზორ ჭალიაშვილი ორმოც წელს გადაცილებული კაცია. მკერივად შეკრული, დინჯი და ენაწყლიანი მოსაუბრე.

შრომა უყვარს. ასე რომ არ იყოს, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი აბა როგორ გახდებოდა?! სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულისა და მეცხრე ხუთწლედის დამკვრელის სამკერდე ნიშნებიც აქვს მიღებული.

თორმეტი წლისა იყო ანზორი, როცა მამა დიდ სამამულო ომში დაეღუპა. გაუჭირდა ოჯახს. სხვა ჩარა არ იყო, აიკრა გუდა-ნაბადი, ხელში კავი დაიჭირა და იალაღებისაკენ დაძრულ კოლმეურნეობის ცხვარს აედევნა.

ცხრა წელი მწყემსავდა ცხვარს ანზორი. ალალმართალი მწყემსებისაგან ცხრა წელი სწავლობდა ჭირშიგან გამაგრებას, შრომის სიყვარულს, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას...

როცა შინ დაბრუნდა და ცოდნისკარის კოლმეურნეობაში მეთამბაქოედ დაიწყო მუშაობა, ვიღაცამ ზურგს უკან დაადევნა:

— ეეე, ცხვარში გაზრდილი კაცი აბა თამბაქოს როგორ დაუდებს გულს?! დაუდო, ისე დაუდო, რომ იმ ვიღაცას და მთელს სოფელს დაანახა, იალადებიდან ჩამოსულ მწყემსსაც შესძლებია თურმე თამბაქოს სარეკორდო მოსავლის მოყვანა

წლების მანძილზე თავდადებულმა შრომამ, გულალალმართლობამ, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანამ თავისი გზით იარა: სახელიც მოიმკა და დაფასებაც. ანზორ ჭალიაშვილს ახლა ისე იცნობენ, როგორც ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ მოწინავე მეთამბაქოეს.

მეათე ხუთწლედის პირველი წელიც ანზორმა გულმოდგინე გარჯით ჩაათავა.

უთენია დგებოდა, ხამ, ნაბალარ მიწას მეტი კირკიტი და მოსათუთება სჭირდებოდა. დატრიალებდა, ჩვეული გულისყურით ეძალებოდა საქმეს. ბარაქა დაადგა შრომას: თამბაქოს უმწეო ჩითილი ამაყად აიშოტა, მოყვრის თვალის საამოდ აბიბინდა.

ალარც მერე მოუკლია გარჯა. მოიწია თუ არა ფოთოლი, ანზორმა დილის ხუთი საათიდან დაიწყო მისი ტეხვა. საშრობ ფარდულში ერთმანეთის მიყოლებით ჩაარიგა ანემსილი ფოთლები.

მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად, ანზორს სხვა საზრუნავიც ჰქონდა. მეათე ხუთწლედი ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედია. საქვეყნოდ ცნობილი ჩვენებური თამბაქოს ხარისხის ამაღლება ახლა ყველა ჭეშმარიტი მეთამბაქოეს დიდი საზრუნავია.

ქართველი გლეხკაცი გატაცებით გვესაუბრება რა მეთოდით, რა ხერხებით, ახლის რა ძიებით აპირებს ხარისხის ამაღლებისათვის შემდგომ ბრძოლას. ისიც შევიტყვეთ, კოლმეურნეობის აგრონომი ნესტორ რაზმაძე და ანზორ ჭალიაშვილი თურმე საინტერესო დაკვირვებებს ატარებენ თამბაქოს მოსავლიანობის გასადიდებლად...

ასეა, ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის მიზანდასახულობანი დღეს მთელი ხალხის საბრძოლო პროგრამაა! ჩვენი ძლიერების, ჩვენი წინსვლის მტკიცე საფუძველი საბჭოთა ხალხის მონოლითურ ერთიანობაშია. ამ ხალხის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია ანზორ ჭალიაშვილი, რომელიც ახლა მონდომებითა და ჩვეული შემართებით ემზადება ხუთწლედის მეორე წლის ზღუდეების დასაპყრობად.

## გვჯერა, პირობას შეასრულებს!

ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობას საუკეთესო შრომითი ტრადიციები აქვს. ისიც საკმარისია ითქვას, რომ კოლმეურნეობაში ოცდარვა სოციალისტური შრომის გმირი ჰყავთ.

თამარ ბეგიაშვილი, როგორც სოფელში ამბობენ, ჯერ გმირი არ არის, მაგრამ წლების მანძილზე თავდადებული შრომით, არც სახელი დაჰკლებია, არც პატივისცემა და არც ხალხის სიყვარული.

სად შეიძლება ნახოთ თამარი? ყველგან, სადაც საქმე მოითხოვს, სადაც გამრჯე ადამიანის ულალატო ხელია საჭირო. ალოობის დროს თამარი კალოზე დატრიალებს, შემოდგომა დადგება და მეხილეებს წაახმარს ხოლმე ხელს. მეზვრეც გახლავთ. მისმა ოჯახმა კოლმეურნეობაში გაპიროვნებული ნაკვეთიდან გეგმით გათვალისწინებული 12 ტონის ნაცვლად 21 ტონა ყურძენი ჩააბარა სახელმწიფოს.

თამარ ბეგიაშვილი სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, საქვეყნოდ ცნობილი მეაბრეშუმის ოსანა აივაზაშვილის სახელობის პრიზის მფლობელია.

დიახ, მეაბრეშუმეობა მისი საყვარელი საქმიანობაა.

— ბევრჯერ უთქვამთ ჩემთვის, — გვიყვება თამარი, — ქალო, შეძლებული ოჯახი გაქვს, არავის უდებ ტოლს. ათასგვარი საქმე გახვევია თავზე და აბრეშუმის ჭიის მოსავლელად რაღა გრჯიხო?!

სიყვარული, ამ ძველთაძველი დარგის სიყვარული და დაფასება რჯის თამარ ბეგიაშვილს!

მუხის დარიგების დრო რომ დადგება, მოდით და მაშინ ნახეთ თამარი, ღელავს, შინ მოყვანისთანავე საიმედოდ დასტრიალებს თავზე ულონო ჭიებს: სხვა საქმეს მიატოვებს, თუთის ფოთოლს მოარბენინებს, ავდრიან ამინდში რომ არ შესცივდეთ, სითბოს უმარჯვებს, ზრდის და ალაღებს მათ...

გასული ხუთწლედის ბოლოს თამარ ბეგიაშვილმა გეგმით გათვალისწინებული 125 კილოგრამის ნაცვლად 248 კილოგრამი მაღალხარისხოვანი აბრეშუმი ჩააბარა სახელმწიფოს.

მეათე ხუთწლედის პირველ წელს კიდევ უფრო იმარჯვა და თავისი მაჩვენებელი 268 კილოგრამამდე აიყვანა.

— კიდევ შეიძლება გაზარდოთ ეს მაჩვენებელი?

მეაბრეშუმის პასუხი დინჯი და ლაკონიურია:

— სამას კილოგრამამდე გავზრდი.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ორგზის მონაწილე, საქმის ერთგული და მოსიყვარულე თამარ ბეგიაშვილი, გვჯერა, პირობას შეასრულებს!





## ვაზო, შვილივით ნაზარდო!

ზამთარია, ციდან ჭიატა მზე იჭვრიტება.

— აი, ეს არის ჩემი ნაკვეთი, — გვეუბნება გერმანე ხარშილაძე.

მანქანიდან გადმოვდივართ. ერთმანეთის მხარდამხარ ჩარიგებულ ვაზებს გავცქერით. გამოცდილი თვალი თურმე ზამთარშიც შეატყობს, როგორი მეზვრის ხელი დასტრიალებდა ამ მიძინებულ ვაზებს.

დიდი ილია ნადირობის მოყვარულ კაცს — ნადირობის ტრფიალს ეძახდა. ეს გამოთქმა გერმანესაც ზუსტად ესადაგება. არა, ნადირობაში კი არა, ვაზის ტრფიალში.

რქანაყარი, დალოცვილი ვაზის სიყვარული ოდითგანვე მოსდგამს ქართველ კაცს. ვაზო, შვილივით ნაზარდო, ტყუილად როდი უთქვამს მას.

გერმანე ხარშილაძე სწორედ ასეთი წინაპრების ნაშიერი გახლავთ. სწორედ შვილივით ევლება და ეფოფინება ვაზს.

თელისგორის ძირში მას ორ-ნახევარი ჰექტარი მსხმოიარე ვენახი აქვს გაპიროვნებული; ჰექტრის მეთხედზე სამწლიან ნამყენსაც უვლის. ამას საკარმიდამო ნაკვეთზე გაშენებული ვაზიც ემატება.

— ერთი კაცისთვის ცოტა ბევრი ხომ არ არის? — ვეკითხებით გერმანეს მის ნაცვლად ბრიგადირი ზაურ ხიზანიშვილი გვეპასუხება:

— ბევრი მაშინ იქნებოდა, უხვი მოსავალი რომ არ მომყავდეს.

რას იზამ, სწორი პასუხია!

— შარშანწინ ანზორმა გეგმით გათვალისწინებული 11 ტონის ნაცვლად 40 ტონაზე მეტი ყურძენი ჩააბარა სახელმწიფოს; შარშან, მიუხედავად დიდი გვალვებისა, 15 ტონის ნაცვლად 33 ტონა ყურძენი მოიწია, — გვიხსნის ბრიგადირი.

— ხუთწლედის პირველ წელს?

— არც ახლა შეურცხვენია თავი... ამოიღე ხმა, კაცო!...

— მევენახეებისათვის წელს მძიმე წელი იყო, — ფიქრიანად გვესმიანება გერმანე ხარშილაძე, — ჯერ ყინვები დაიჭირა, მერე პირი მოიხსნა ამ დალოცვილმა ცამ და გაუთავებლად წვიმდა. ჭრაქი მოგვეძალა. წინათ შვიდჯერ თუ შევწამლავდი ხოლმე ვენახს, წელს კი ათჯერაც არ ეყო შეწამვლა... ბრიგადირის თქმისა არ იყოს, თავი მაინც არ შემირცხვენია...

თავს არც შეირცხვენს თავისი საქმისა და თავისი ქვეყნის მოყვარული კაცი!

ხუთწლედის მეორე წლისათვის ახალი ფიქრები და გეგმები აქვს ცოდნისკარელ გერმანე ხარშილაძეს. სხვანაირად არც შეიძლება. ახლა თითოეულ ჩვენთაგანზეა დამოკიდებული რესპუბლიკის სახელის განდიდება, იმ დიდი შეფასებისა და მტკიცე რწმენის გამართლება, რომელიც საქართველოს მშრომელებისადმი გამოთქვა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის ცნობილ ივნისის დადგენილებაში.

სოლომონ სამხარაული

## ციფრები, ფაქტები, ტრადიციები



მოსკოვის დროით 0 საათი, 0 წუთი და 0 წამია. სპასკის კოშკზე კრემლის კურანტების პირველი რეკვა გაისმის. ახალმა 1977 წელმა უკვე შემოაბიჯა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში.

ახალი წლის მოსვლას, მისი დახვედრისათვის სამზადისსა და საზეიმო ცერემონიალს ძველთაგანვე სხვადასხვა ტრადიცია ახლავს თან.

რუსეთში ახალი წლის დადგომას ძველად მარტის თვის დასაწყისში აღნიშნავდნენ, შემდეგ სექტემბრის დამდეგს. 1699 წლის ერთ საღამოს, წითელ მოედანზე შეკრებილ ხალხს წაუკითხეს პეტრე I ბრძანება, რომელიც აკანონებდა, რომ ყოველი ახალი წელი, 1 სექტემბრის ნაცვლად, ამიერიდან 1 იანვარს აღენიშნულიყო.

31 დეკემბრის ღამეს პეტრე I თვითონ გახსნა საახალწლო ზეიმი. მეფემ წითელ მოედანზე პირველი შუშხუნა დაანთო, კრემლის ეზოში ჭვემეხებმა დაიქუხეს, სამხედრო ორკესტრმა საახალწლო საზეიმო მუსიკა ააგუგუნა.

მოსკოვის ქუჩები და მოედნები ფიჭვისა და ნაძვის ხეების ტოტებით იყო მორთული, ცეცხლები განუწყვეტლივ არისხებდნენ ზარებს, სახლებიდან გამოფენილი ხალხი ზეიმით ულოცავდა ერთმანეთს 1700 წლის დადგომას.

ასე აღინიშნა რუსეთში პირველად ახალი წლის დადგომა 1 იანვარს.

საქართველოში ახალი წლის დადგომის აღსანიშნავად ძველთაგანვე სხვადასხვა თარიღი იყო მიჩნეული. X საუკუნიდან ეკლესია ახალი წლის დასაწყისად 1 სექტემბერს თვლიდა, 1 იანვარი კი ახალი წლის საერო დღესასწაულად ითვლებოდა. საეკლესიო და საერო წელთაღრიცხვები შემდეგ გაერთიანდა და ახალი წლის დასაწყისად ჩვენში 1 იანვარი დაწესდა.



ახალ წელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ნაძვის ხე. ამ მარადმწვანე, ლამაზი ხის საახალწლოდ მორთვა შუა საუკუნეებიდან მომდინარეობს. ნაძვის ხის ტრადიცია გერმანიიდან ფართოდ ვრცელდება სკანდინავიის ქვეყნებში, საფრანგეთში, რუსეთში,.. ისეთ ქვეყნებში, რომლებშიც ნაძვის ხე არ ხარობს, მაგალითად, იტალიასა და საბერძნეთში საახალწლო ნაძვის ხე ჩრდილოეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან შეაქვთ.

გადმოცემის მიხედვით, თოვლის ბაბუა ჩრდილოეთ ფინეთში ლაპლანდიას მთებში ცხოვრობს. აი, ამიტომაც არის, რომ ყოველი ახალი წლის მოახლოვებისას ფინეთში სხვადასხვა ქვეყნებიდან უამრავი წერილი მოდის. ბავშვები საყვარელ თოვლის ბაბუას სწერენ თავიანთ სწავლასა და შრომაზე, სთხოვენ სტუმრად ეწვიოს მათ და უამრავი საჩუქრები წამოიღოს თან. წერილების რაოდენობა ისეთი დიდია, რომ საახალწლო დღესასწაულის წინ ფინეთში დამატებით სპეციალურ საფოსტო ბიუროს ხსნიან ხოლმე.







ეროვნული ბიბლიოთეკა

# საახალწლო სტრიქონები

აჰა, ეს ჩემი
სიხარულის ერთი ფურცელიც,
კვლავ, ისევ შენთან,
ახალი წლის ზღურბლთან დავდექი.
კავკასიონი
ისევ ბრწყინავს ნირშეუცვლელი,
თბილისს შორიდან
დაჰქათქათებს თეთრი ყაზბეგი.

ისევ დგას ჩემი
საქართველო მხნე და მარადი,
მარად მჩქეფარე,
დაუღლელი, მარად მღელვარე
და კვლავ აშვენებს
უკვდავების ფარ-მუზარადი,
ჩემი მამულის
უბერებელ, ამაყ მწვერვალებს.

ისევ ძვირფასი,
უტკბილესი მესმის ქართული
და ზამთრის სუსხში
კვლავ ვეხვევი სიმხურვალეში.
ისევ ვენახში
ჰიგოსავით ვარ გახლართული
და პურის ყანის
მშობლიური მხიბლავს ალერსი.

ფეხბედნიერად
შემობრძანდი წელო, ახალო!
მარადიული
სიცოცხლისკენ აფრა აუშვი,
რომ ძმობის დროშა
ფრიალებდეს შეულახავი
სულ სიმღერებში,
სიყვარულში და სიხარულში.

მამულს უთრთოდეს
წრფელი გული სიყვარულისთვის,
ისევ ისუნთქოს,
უფრო ხარბად და გალაღებით.
რომ ვარსკვლავებზე
მეტი ჰყავდეს, უფრო ურიცხვი —
წინაპართაგან
დალოცვილი ჩვენი ბაღდები.

ჩიტებს — სიმღერას,
ფეტვს და ხორბალს ნუ გამოულევ,
მგოსნებს — ფიქრიან,
ალმოდებულ სიტყვებს ფრთიანებს,
რომ გაჰყვეს ჩვენი
გულისძგერა ლექსის რვეულებს —
ჰანგებს, რომლებიც
მომავალშიც კვლავ იწკრიალებს.

დედებს — ჩვენზე ფიქრს,
ჩვენზე ლოცვას ნუ გამოულევ,
ნუ დაანებებ
ჩვენს წინაპარს გადავიწყებას.
სიხარულის ცრემლს
მწუხარების ცრემლს ნუ შეურევ

და მიწა შენი
სისხლით ხულარ დაიწინწკლება.

ლაბას შესძახე,
უფრო მაგრად სწიოს უღელი,
გლეხკაცის გამრჯე,
დაუღლელი მკლავი დალოცე,
ვინც შენს კალთაზე
აშრიალა ნორჩი მუხები
და ხორბლის სიცილს
მიაყურა მზიან კალოზე.

დალოცე ისიც,
კაშხალები ვინაც აღმართა,
ახალ სინათლეს,
ახალ ელვას ვინც გვაზიარა.
შხარას ძუძუებს
ვინც მოსტაცა ჰიმნი წარმართთა —
ენგურის ტალღა
ვინც სიმღერად ააბრიალა.

დალოცე, ვინაც
ცა მოქსოვა შუქურ-ვარსკვლავით,
ზეცის აბრეშუმს
ჩამოჰხია კალთა კრიალა
და რომ ისედაც
ალმოდებულ, მორცხვი პატარძლის
მკერდზე უქრობელ
ვარსკვლავების ცეცხლს ებრიალა!

დალოცე, ვინაც
ჩიტს ასწავლის სტვენას ადრიან,
ვისაც ახარებს
იისფერი კვამლის შრიალი,
ვისაც უხარის
რომ მეზობლის ცეცხლი ანთია,
ცეცხლი გიზგიზებს
მეგობრისთვის იმედიანი.

დალოცე ისიც,
ვისაც ძილში დარდად ჩაჰყვება,
რომ კიდევ ბევრი,
აუვსები დარჩა გიდელი.
ვისაც სწყურია,
რომ ახარონ ჩვენმა ბაღდებმა
უფრო ლამაზი,
უფრო კარგი დღე-ხვალინდელი.

ინატრე: მეტი,
მეტი გვყავდეს სულით მდიდარი,
შეურცხვენელი
ბიბინებდეს ჩვენი ულვაში,
სამარადჟამოდ
მზე ბრწყინავდეს დაუბინდავი

მულაჩში, ვანში,
კარდანახში, ბროწეულაში...

დალოცე ჩვენი
პატარები თვალებგიზგიზა,
სიძძიმისაგან
მხრებმოხრილი ატმის რტოები,
შვილიშვილების
ნინიკოს და რეზოს კისკისი
და ხალიანი,
მობრიალე ყაყაჩოები.

დალოცე ჩვენი
გაზაფხულის ცისარტყელები —
თამარქალების,
ხათუნების წმინდა მანდილი.
გლეხკაცის გამრჯე,
კოჟრიანი, მძიმე ხელები
და ჩანჩქერები
ცაცაბოზე გადმოვარდნილი.

დალოცე ჩვენი
მუდამ მორცხვი ხოხბის ფრთხიალი
და სევდიანი
კამეჩების წყნარი თვალები.
დალოცე ჩვენი
ბუდეშურის თვალთა ბრიალი,
გადათოვლილი
გორმახები და მწვერვალები.

გზა მიეც მხოლოდ
სიკეთეს და გულგახსნილობას,
გასწი, ნათელი
მომავლისკენ აფრა აუშვი,
აამაყებდეს
ყველა ჩვენგანს ერის შვილობა
კრიმანჭულებით
განათებულ ამ ჩემს მამულში.

სვებედნიერი
ყოფილიყავ, წელო ახალო,
რომ უფრო მეტი
ხვავი იდგეს მზიან კალოზე.
დალოცე ჩვენი
საქართველო — მზეთუნახავი
და ძმობის დროშა,
უძლეველი დროშა დალოცე.

. . . . . .

ეს ერთი თხოვნაც
შემისრულე, თხოვნა ახალი.
დალოცე,
რევაზ მარგიანის სიტყვაც დალოცე!

რევაზ მარგიანი

## უკვდავება

ქართველი ხალხისათვის ძვირფასია მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი მგოსნის, ქართული ლიტერატურის უდიდესი ლირიკოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის მემკვიდრეობა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია დღესაც უდიდეს ემოციურ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე. მგოსნის პოეტური მემკვიდრეობა არა მარტო ქართველი ხალხის საკუთრებაა, არამედ მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის მილიონობით მკითხველთათვისაც ხელმისაწვდომი და ახლობელია.

ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილ სალამოზე წარმოთქმულ სიტყვაში ცნობილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გერონტი ქიქოძემ თქვა: „ქართველმა საზოგადოებამ ნიკოლოზ ბარათაშვილი თითქოს ორჯერ აღმოაჩინა: ერთხელ ორმოცდაათიან და სამოციან წლებში, როდესაც მისი ლექსების ბეჭდვა დაიწყო „ცისკარსა" და „საქართველოს მოამბეში", ხოლო მეორეჯერ 1893 წელს, როდესაც მისი ნეშტი განჯიდან თბილისში გადმოასვენეს. ეს იყო უდიდესი პოლიტიკური დემონსტრაცია, ნიშანი ქართველი ერის თვითშეგნების გაღვიძებისა. კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა, სანამ მას რკინიგზის სადგურიდან დიდუბის ტაძრის ეზოში მიასვენებდნენ; ქალები თავიანთ ბავშვებს აჩოქებდნენ, რათა მათ მოკრძალებით ემბორათ სამშობლოში დაბრუნებული პოეტის ნეშტისათვის".

ქართველმა საზოგადოებრიობამ ნიკოლოზ ბარათაშვილი მესამედ თითქოს იმ დღეს კვლავ აღმოაჩინა... ძველი თბილისის ულამაზეს კუთხეში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, რომელიც ასე უყვარდა პოეტს, აღიმართა პოეტის ძეგლი. ქანდაკების ავტორია საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი, მოქანდაკე ბ. ციბაძე, კვარცხლბეკის ავტორები — რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორები: შ. ყავლაშვილი და ვ. ქურთიშვილი.

დედაქალაქის საზოგადოებრიობის მრავალმა წარმომადგენელმა მოიყარა აქ თავი. მოვიდნენ მუშები, მწერლები, მხატვრები, არქიტექტორები, პიონერ-მოსწავლეები — ყველა, ვისთვისაც ძვირფასია სასიქადულო ქართველი რომანტიკოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი. მოვიდნენ, რათა დიდი პოეტის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალზე კიდევ ერთხელ გამოეხატათ თავიანთი მოწიწება და პატივისცემა ღირსეული მამულიშვილისადმი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე იყვნენ ამხანაგები: პ. გილაშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ზ. ჩხეიძე, თ. მოსაშვილი, ჟ. შარტავა, ს. ხაბეიშვილი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლი
თბილისში.

თარხან არჩვაძის ფოტო.



მამა-შვილი მამულაშვილები.


ეროვნული ბიბლიოთეკა

იაპონელი შეყვავილე-დეკორატორი იურიკო კურამატი და მიხეილ მამულაშვილი.

ვიქტორ ჯეირანელის ფოტო.



სტუმრები უელსიდან.

# ახალი წლის გაზაფხული

- ყვავილების სათბურში.
- ბაღის ერთი კუთხე.
- ნატურმორტი.







ქართველ კაცს ძველთაგანვე მოსდგამს ყვავილთა სიყვარული და პატივისცემა.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ხალხური რწმენით, არა მარტო ტყესა და ხეს კი არა, არამედ მინდორსა და ყვავილებსაც თავისი მფარველი ჰყავდა".

წარმართობის დროს საქართველოში ვარდ-ყვავილთა საუცხოო ბაღნარები არსებულა და მათი მოვლა-პატრონობის საპატიო საქმე თურმე სათანადო ცოდნით აღჭურვილ პირებს ჰქონიათ მინდობილი.

იას, როგორც გაზაფხულის პირველ მახარობელს, ძველად საგანგებო დღესასწაულს უმართავდნენ. შეკრებილი ხალხი გრძელ ჯოხზე ამაგრებდა იის კონებს და მის გარშემო მართავდა ცეკვა-სიმღერას.

უხსოვარ დროიდან მომდინარეობს საქართველოში ქორწილსა და სხვა ლხინში ყვავილებით ხელდამშვენებული მისვლა.

„ქართლის ცხოვრება" გვაუწყებს, რომ იბერთა მეფე მირიანს მცხეთაში ჰქონდა ბაღი, რომელსაც „სამეფო სამეუფოი" ეწოდებოდა. ამ ბაღში წითელი ვარდები და სხვა უამრავი ყვავილი ყოფილა მოშენებული.

ჟამთა სვლამ უკვალოდ აღგავა პირისაგან მიწისა მეფის ბაღი, მაგრამ მცხეთაში, სადაც ოდესღაც „სამეფო სამეუფოი" წალკოტი ყვაოდა, კვლავაც აბიბინდა ედემივით გაცისკროვნებული ბაღი.

მიხეილ მამულაშვილის ჯადოსნური ხელით გაშენებულ ამ ბაღში ყოველ სეზონზე 50 ათასზე მეტი სტუმარი მოდის. მოდიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, მოდიან იაპონიიდან, იტალიიდან, ინგლისიდან... ათვალიერებენ ბაღს და მათთვის ნათელი ხდება, რომ ასეთი წალკოტის შექმნა შეეძლო შვილს იმ ერისა, რომელსაც ყვავილების სიყვარულის, მათი მეუფეობის უძველესი და უმდიდრესი ტრადიციები აქვს.

ალბათ სწორედ ეს ყვავილთა დიდი სიყვარულისა და მეუფეობის ტრადიცია გადასცა განსვენებულმა მიხეილმა თავის ქალიშვილ პელაგიას.

მამულაშვილების საქვეყნოდ ცნობილ ბაღს მცხეთაში 1.000 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია. ვის უნახავს, ვის გაუგონია ასეთი პატარა ედემი, რომელიც 110 სახეობაზე მეტ ყვავილსა და სხვა მცენარეებს იტევს?! იტევს სათბურებსაც და თალარსაც, დეკორატიულ კუთხეებსაც და საჩრდილობელსაც... ასე ყოფილა, საქმის ღრმა ცოდნა, დღენიადაგ ძიება, დაუზოგავი გარჯა და სიყვარული თურმე ხელისგულზეც დაატევს ყველაფერს!

მამულაშვილის ბაღში წინათაც ვყოფილვარ, პაპა მიხეილის საუბარიც მომისმენია. მოვდიოდი და მეფიქრებოდა, ხომ არ დაიკარგა ის, რაც მიხეილ მამულაშვილმა დატოვა? დაიკარგა კი არა, შევსებულა, გაზრდილა, გალაღებულა, განდიდებულა!

პაპას ქალიშვილი პელაგია — ეს ვერცხლისწყალივით დაუდგრომელი მანდილოსანი, ახლა 1977 წლის სეზონისათვის ემზადება.

მნახველები ისევ მოიხიბლებიან აფრიკული იებით, ჩინური ვარდებით, იაპონური პიონებით, კაქტუსებით, ხრეზიებით... ეს მცენარეები საიდანღაც წამოსულან, მაგრამ ახლა მამულაშვილების ბაღში დაუდვიათ ბინა, ამ ბაღის ძირნი და შვილნი გამხდარან.

დეკემბერი იწურება. ეზოში ვსაუბრობ მასპინძელთან.

სუსხიან საღამოს ყვავილთა სურნელი ეძალება.

ეძალება და მარწმუნებს, რომ მამულაშვილების ბაღში კარზე მომდგარი ახალი წლის გაზაფხული ტრიალებს.

ეთერ მაჭავარიანი.

# სად, როდის და როგორ.

ჩვენს პლანეტაზე ახალ წელს პირველად ფიჯის კუნძულებზე ხვდებიან, შემდეგ იაპონიაში, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ახალი წელი იაპონიიდან შორეული აღმოსავლეთის რაიონებში შემოდის.

ახალი წელი ჩვენი სამშობლოს თვალუწვდენელ სივრცეზე რამდენიმე საათი მოაბიჯებს. ვლადივოსტოკიდან ბრესტამდე მისასვლელად ახალ წელს ზუსტად 10 საათი სჭირდება.

სხვადასხვა კალენდრის არსებობა განაპირობებს, რომ ინდოეთში ყოველ წელს ოთხჯერ აღინიშნება ახალი წლის დადგომა.

ახალი წლის დადგომის ყველაზე დაუზუსტებელი დრო ესკიმოსებს აქვთ. მათი რწმენით, ახალი წელი მხოლოდ მაშინ დგება, როცა პირველი თოვლით გადაიპენტება გარემო.

თუ თქვენ ეთიოპიაში ჩახვალთ, რამდენიმე წლით გაახალგაზრდავდებით.

ეთიოპიის წელთაღრიცხვა 7 წლითა და 8 თვით ჩამორჩება ჩვენს კალენდარს. ახლა იქ 1969 წლის მაისის დასაწყისია.

ვინც კუნძულ სამოადან 31 დეკემბრის საღამოს ავსტრალიისაკენ გაემგზავრება, დროის პირობით საზღვარს — თარიღების ცვლის ხაზს გადაჰკვეთს და ახალ წელს ვერ შეხვდება. ავსტრალიაში მას უკვე 2 იანვარი დახვდება.

ირანში ჯერ კიდევ ძალაში რჩება ე. წ. მთვარის კალენდარი, რომლის მიხედვით ახლა 1395 წელია.

1752 წელს, როცა ინგლისში კალენდრის რეფორმა მოახდინეს, დღეთა აღრიცხვამ სამი თვით წაიწია წინ.

ამ გარემოებამ დიდად აღაშფოთა ქალები, რომლებიც მოულოდნელად „დაბერდნენ" სამი თვით.

იზეზ-მიზეზ იყო თუ რა იყო, დღეს ცემენტი აკლდათ, გუშინ — არმატურა, გუშინწინ — ხე-მასალა; ხვალ ბულდოზერების საწვავი გვი-ლალატებს, ზეგ — თვითმცლელების საბურავე-ბი, მაზეგ — მთავარი ინჟინრის ქორწილიო. მუშახელი კიდევ: ვინ ფეხაკრეფით მიიპარებო-და, ვინ — ექიმის ყალბი საბუთით მიიძურწებო-და, ვინ — თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. ერთი სიტყვით, ხან ეს ჯანდაბა გამოტყვრებოდა ხოლ-მე, ხან ის დოზანა, და სამ წელში მოსათავებელ საქმეს მეექვსე წელსაც რის ვაივაგლახით დაად-გა საშველი — ბუზღუნით, ჯაჯღანით, ჩივილით, ვალიდოლით, კარდიამინით, ინტერკორდინით გა-იყვანეს სარწყავი არხი.

არხი თავთხელში გადაუდგა იორს, კალაპოტი დაუვიწროვა, ისედაც მიცოტავებული წყალი წაართვა, ქეშად ამოსჭრა აყუდებული ფერდობი: გარდი-გარდმო გამოიკლაკნა, გამოიარა ხევ-ხუ-ვები, ღელე-ღუტეები, ველი და ველობი; ტყე-შიც გაიზმორა, ნატყევარშიც და ბოლო-ბოლო გაიმინდვრა. ვიდრე სოფლის თავსა და ბოლო-ში მოირყეოდა, ლოცვა-ვედრებით მიაცილებდა გვალვით შელონებული ხალხი — შენს მადლს ვენაცვალეო, შენს დამბადებელსაო, ჩვენს დამ-ფასებელსაო, ჩვენო მალამოო და ჩვენო ნუგე-შოო. მაგრამ მალე მიადგა სოფლებს, გალაღდა, გაჯიქდა, გადაირია, ხათრიც დაივიწყა და ცოდ-ვა-მადლიც: ვის ვენახი გაუგლიჯა შუაზე, ვის — წლობით გადაქვავებული ბაღჩა ამოუბრუნა, ვის — ეზოს კუთხე წაართვა, ვის — გოჯი-გოჯ აშენებული სახლი გადადგმევინა გვერდზე. ახლა კიდევ შუბლი დაიშაშრეს: მე შენი წამომწყები-საო, შენი დამბადებლისაო, ჩვენო ჯახიროო და ჩვენო ვარამოო. შოფრებმაც მხარი აუბეს, რაკი ჰაიჰარად გაშლილი ქვა-ღორღით გაავსო მხარ-ასაქცევები და ასფალტზე მონებივრე მანქანებს სავაგლახო ხტუნაობა აუტეხა. და როცა წყლით მოპიპინდა არხი, ეს ბუზღუნ-გინებაც დავიწყების ნისლში ჩაიკარგა, დარჩა მხოლოდ თვალთხილუ-ლი სიკეთე: მწვანედ გაშუქებული ყანები, ტყუპ-ტყუპი ტაროთი დამკლავებული სიმინდე-ბი, სიმძიმით დაწყვეტილი ვენახის მავთულები და ორკაპშეყენებული, ტოტებჩამოფაფრული ხეხილი. სოფელში იხვისა და ბატის ჭუჭულის სახსენებელიც რომ არსად იყო, ისიც ისე ერთ-ბაშად მომრავლდა, თითქოს ჟუჟუნა წვიმად მო-ვიდაო.

ვიდრე არხში წყალს გაუშვებდნენ, ზვრების გასადევრებსა და მინდვრებს მოედვნენ ექსკავა-ტორები, გზებსაც აქეთ-იქით ჩაუყვნენ, ერთი თვე იგუგუნეს, იბუქსავეს, იფუტფუტეს და წი-წილა-არხებით დახაზეს იქაურობა. თვის ბოლოს მაგიდიდან საქმიანი ქაღალდები აალაგა ინჟინერ-მა, თავისი ავლა-დიდება ორ ჩემოდანში ჩაჭყუ-ნა, კარადა, საწოლი, მაგიდა, სკამები სატვირ-თოს ძარაზე შეყარა და ბუდრუგანის დაშლა ბრძანა — გვერდითა სოფელში გადავინაცვლო-თო. სოფლის თავკაცები მადლობის სათქმელად ანუ გამოსამშვიდობებლად მოვიდნენ მანქანით და სულხან ნამორაძემაც მოაგდო თავისი მრეში ულაყი. სამოცდაათს მიტანებული ბერიკაცი ცო-ცხლად ჩამოხტა ცხენიდან, ხალხს მოატარა თვა-ლი, გამარჯობათო, ცხენს ზურგზე გადაუგდო ალ-ვირი და ღიმილითა თქვა:

— გავიგე, აგიკვირაძლებიათ!

— გაიგებდი, — გაეცინა ინჟინერს, — ეს საი-დუმლო ქვეყანას მოვფინეთ და, რა გასაკვირია, შენც გაგეგო!

ვინ ხათრით გაიცინა, ვინ — წამხედურობით.

ინჟინერმა ჩემოდნები „ვოლგის“ საბარგულში ჩააწყო და ჩასაჯდომად რომ გამოაღო კარი, სულ-ხანმა ხელით მოატრიალა:

— რამდენი წლისა ხარ, შვილო?

ინჟინერი უხერხულად შეიშმუშნა, კარი მიაჯა-ხუნა, მანქანის გასაღები ჯიბეში ჩაიდო და ისევ აკაციის გაცრეცილ ჩრდილს შეეფარა. ეს ამდენი თვითმცლელი, ექსკავატორი, ბულდოზერი კი მობნეულივით მოფანტულიყო მზეში.

— მა? — ჩაეკითხა გაბრაზებული ბერიკაცი.

ინჟინერმა მხრები აიწურა და ხელის გაწვდე-ნაზე მდგარ ცხენს მიაშტერდა.

— მივდივართო?! — აყვირდა ბერიკაცი, — მემრე, ჩვენ რას გვიშვრებით, ჩვენა!

— ვის თქვენა? — მშვიდად ჰკითხა ინჟინერ-მა.

— აგა! — გორის ძირში შეჯგუფებული სახ-ლებისკენ გაიშვირა ხელი, — ვინც იქა ვცხოვ-რობთ, ხევგალმა, იმათ!

— დავილალე, რამდენჯერ უნდა გითხრა, წი-წილა-არხის მანდეთ გაყვანა პროექტში არა გვაქვს-მეთქი?! — ცხენს ყელზე მოუთათუნა ხელი, — რა ცხენია?

— მე აღარ დავილალე?! ვითომ რატომაო?

— ალბათ ცოტანი ხართ, ხარჯი კი ბევრი იქ-ნებაო... არ გაჰყიდი?

— არა... ოთხი კომლი ვართ, რამ გაგვაცოტა-ვა?! თანაც ვენახებიც იქა გვაქვს და ეზო-ყურეც იქ გვაოხრია!

— ათას კომლთან ოთხი კომლი რა სახსენებე-ლია? ამისთანა წყნარი ცხენი, ძმაო, მარტო ცირ-კში მინახავს!

— ერეკლე ერთი იყო, მაგრამ!... ჰიტლერიც ერთი იყო და იმისი დამჩოქებელიც — ერთი!... ბევრი კიდევ ვარსკვლავია ცაში, მიდი, მიდი, ხე-ლი შეაწოდე და ერთი, თუნდაც ნაგალა მომიწყ-ვიტე!

ინჟინერი ცხენს უვლის გარშემო. შოფრები, მებულდოზერეები, მეექსკავატორეები, ახლო მიდგნენ და ისინიც ცხენს უყურებენ მუშტრის თვალით. მრეში, ჩამრგვალებული ულაყი კი ამა-ყად თავაწეული დგას და კუდით ნება-ნება იგე-რიებს ბუზებს.

ცხენს მიქებენო — გაუხარდა ბერიკაცს და სიმშვიდე დაიბრუნა:

— ძალიან გონიერი პირუტყვია, ღმერთმანი — ქვეშ რომ გაუძვრე, მაშინაც არ გაგიწყრება!

— რა ჭკვიანი ცხენია, კაცო?! — ისევ გაიო-ცა ინჟინერმა.

— ჯერ დაუდუღარი ჯეილი ხარ და ბევრი რამე არ იცი, — უთხრა ბერიკაცმა, — თუ საქონელს არ იცნობ, შვილო, ადამიანის გაცნობაც გაგი-ჭირდება. ადამიანი არ გეცოდინება და ცხოვრე-ბაც გაგაგლესავს მიწაზე. წიგნის ცოდნა, ბუნე-ბის ცოდნასთან ვერ მოვა!.. ეს რომ მართლა ეგე-თი ჭკვიანი ვინმე ბრძანდებოდეს, ამ ჩაოხრებულ სოფელში იმდენი ქურდი და მამაძაღლი ხალ-ხია, მთელს სოფელსა სწვდება სავაგლახოთ და, შენ როგორა ფიქრობ, აქამდე გამიჩერებდნენ? ჭკვიანიაო?! რაკი ჭკვიანი გგონია, დაიჭირე და შენი იყოს.

ამ დროს ინჟინერი ცხენს კისერზე უსვამდა ხელს:

— დაჭერილი არა მყავს? — და ორივე ხელი მოჰხვია.

— ეგრე არა, — გაეცინა ბერიკაცს, — წავალ, თვალიდან გავერიდები და, აკი გეუბნები, თუ დაიჭირე, შენი იყოს-მეთქი.

— სამაგიეროს რასა მთხოვ?

— არაფერს. ოღონდ გაფრთხილებ — ეს ხალ-ხი და ეს მოწმეები: სხვა უარესი საშიშროებაც მოგიელდავდება და დროზე უშველე თავსა. აბა, წავედი!.. ჰო, რამე რომ მოხდეს, მე არ დამაბ-რალო. ეგრე — სიტყვა-სიტყვაა! — თავქვე ჩაუყ-ვა ბერიკაცი. ცხენმა ყურები აჰყარა და დაცქვე-ტილი გააჩერდა.

ბერიკაცი იქვე, ეკლესიის ნანგრევში ჩაეფარა და ინჟინერიც ცხენისკენ წავიდა. ცხენმა დაიქ-სუტუნა, მერე გაილურსა, ტორი დაარტყა მიწას და ინჟინრისკენ გაექანა. ინჟინერი გვერდზე გახ-ტა სიცილით:

— ერთი ასეთი მეგობარი მომცა! — თქვა და ახლა მოფერებაზე გადავიდა. მაგრამ ვერაფრით

მოთხრობა

კარლო კობერიძე

ვერ წაავლო ხელი ალვირში. ის კი შეატყო: ცხენი დასაშინებლად უფრო უტევდა, — მოდით, ბიჭებო, ყველანი მივეხვივნეთ.

წრე დაარტყეს და ყიჟინა დასცეს, თუმცა შიში უკან ახედებდათ და ალვირში ხელის ჩავლებაზე არც ფიქრობდნენ.

ცხენი ერთბაშად ათახთახდა, ყალყზე შედგა, მთელი ძალით დაიჭიხვინა და ტლინკი შეჰყარა — ხან ერთისკენ გაიწია, ხან მეორესკენ — დაფე-თებულები აქეთ-იქით გარბოდნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ. უცებ შემოიფრინა ყველა და ისევ იმ ადგილს დაუბრუნდა, პატრონმა რომ დატოვა.

ცხენის ჭიხვინს გორის ძირში შეჯგუფებული სახლების მხრიდან ძაღლები გამოეხმაურნენ ყე-ფით.

ცხენის დაჭერა აღარ უცდიათ: იდგნენ და სიხარულით მისჩერებოდნენ. მაგრამ ცხენი ისევ მიწას ტორავდა, ლაგამს ღეჭავდა — დუჟი გად-მოსდიოდა პირიდან, თავს მკვეთრად იქნევდა და მიწაზე მოთრეულ ალვირს ფერდზე ირტყამდა.

ძაღლების ყეფა კი თანდათან ახლოვდებოდა. ამ ხმას პირველად მაღალმა, დაკუნთულმა შო-ფერმა მიაქცია ყურადღება და აკი პირველმაც მან დაინახა გორის ძეძვნარში გამოშლიგინებუ-ლი მყეფრები.

— არიქა, ძაღლები! — იყვირა და ძარას მიაწყ-და. სხვებიც დაფეთებულები აცვივდნენ თვით-მცლელების ძარებზე. ინჟინერი „ვოლგაში“ შევარდა.

— მანქანას დაგიფხაჭნიან, ბეჟან! — დაუძახა ვილაცამ.

ინჟინერი მეორე კარიდან გავარდა და იქითა მხრიდან აებღოტა ძარაზე.

ბალანაშლილი, ნაცარა ძაღლები გნიასით მოც-ვივდნენ და ცხენს ღრენით ახედ-დახედეს, სუნსუ-ლით შემოურბინეს და ძარებისკენ გაექანენ — მოკუმშულები ხტებოდნენ მაღლა, რასაც პირი მო-ეკიდებოდა, ყველაფერს ღრღნიდნენ. ერთი კაბინ-ის კიბეზე ავარდა და იქიდან ცდილობდა ძარაზე ასვლას. ჭროლა ბრიგადირმა სკამს მორყეული ფე-ხი მოაძრო და ფერდაკარგული, გადახრილი იგერ-იებდა. ის სკამის ფეხი რომ წაგლიჯეს ხელიდან, მეორე ფეხი ააგლიჯა.

ხუმრობის გუნებაზე აღარ იყვნენ. ინჟინერმა თავის „ვოლგას“ გადახედა და შეშინებულმა თქვა:

— მე იქ დავრჩენილიყავ, ას მანეთში მაინც ჩა-მსვამდნენ.

— ეს რა უბედურებას გადავეყარეთ, კაცო? — სიმწრით გაიღიმა ჭროლა ბრიგადირმა და სკამს მეოთხე ფეხი წაართვა. ამ დროს ეკლესიის ნანგრე-ვებთან ბერიკაცის ხმა მოისმა:

— ეჰეი, მურიავ, ღრენიავ, წაბლავ!

ძაღლები კუდის ქიცინით გაცვივდნენ, ცხენმა — დაიხვიხვინა.

მოდიოდა ბერიკაცი და ლაქუცით, წკმუტუნით, თამაშ-თამაშ მოჰყვებოდნენ ძაღლები. მოვიდა, გაჩერდა და ხელმოჩრდილით, ქირქილით ახედა ინჟინერს:

— რაო, შვილო, ხო არ შეგეშინდათ?

ინჟინერმა ხელი ჩაიქნია, გვერდზე მიაბრუნა თავი:

— სტუმრის მოძულე ჩანხარ, ძიაკაცო.

— მამა გიცხონდა! — ცხენს მითელიანი ფარდაგის ნაჭერი გაუსწორა ზურგზე, მუცლის თოკი დაუჭიმა, მიწაზე მოთრეული ალვირი აიკეცა და ჩრდილში წამოწოლილ აქასქასებულ ძაღლებს გახედა, — როგორი ბიჭები არიან, ჰა, ინჟინერო?!

— თუ ღმერთი გწამს, გამარიდე აქედან, თორემ მაგათ, როგორც ვატყობ, წერა-კითხვაც ეცოდინებათ!

დამშვიდდნენ, დაწყნარდნენ, გული ბუდეში დაიგულეს და ღიმილიც გაიხსენეს.

ბერიკაცი ქვაზე ჩამოჯდა, ბეჭებით აკაციას მიეყრდნო. მანქანის ძარებზე აკრეფილები კი ივნისის გავარვარებულ მზეში იდგნენ და კეფაზე ხელებს იფარებდნენ.

— აღარ ჩამოდიხართ? — უკვე თანაგრძნობით იკითხა ბერიკაცმა.

— რას ამბობ, დარდსაც ძლივს ვერევი და ახლა მაგათ შევეჭმევინო? — გაბრაზდა მაღალი, დაკუნთული შოფერი.

— ნუ გეშინიათ, — წამოდგა ბერიკაცი, — აქა ვარ და, რისი დაგლეჯვა, რას ამბობთ, ნახავთ, როგორ მოგესიყვარულებიან!

შოფერმა იშვირა ფეხი და ძარადან გადმოხტა. ძაღლები კუდის ქიცინით წამოდგნენ და მანქანაზე შიშით აკრულ შოფერს წკმუტუნით შეაფოფხდნენ. შოფერმა თავზე გადაუსვა ხელი. ამის შემხედვარენი ნელ-ნელა ჩამოკანკალდნენ დაბლა და სიცილ-ხითხითით მოეფერნენ ძაღლებს.

სულ ბოლოს ინჟინერი ჩამოხტა, მივიდა ცხენთან და თვალები დაუკოცნა:

— შოთა, — ჰროლა ბრიგადირს მხარზე ხელი დაადო ინჟინერმა, — თბილისში წავალ, ცოლშვილსაც მივხედავ, ჩემ თავსაც. შენ კი ამ შაბათკვირას ბერიკაცს დააფასებ. კვირა საღამოს დავბრუნდები და არხი გაყვანილი უნდა დამხვდეს. იტყვი, მუშახელი გვაკლიაო. ეგ ბერიკაცმაც იცის. ითავებს და თავის მეზობლებს დაგახმარს, — მერე გაეღიმა, — პატარა პურმარილსაც გაშლიან.

— პროექტი? — იკითხა ქერა მეექსკავატორემ.

— პროექტის საქმეს მე მოვაგვარებ, — გაიცინა ბერიკაცმა.

— ამას ყველაფერი დაეჯერება, — ინჟინერსაც გაეცინა, — ჰო, — პირალმა შეუყვა არხს, ათიოდე მეტრი გაიარა, გაჩერდა და ფერდობს გახედა, — აქედან დაიწყეთ. აქა-იქ ხრამები დაგხვდებათ — ცემენტის მილები და ღარები არ დაზოგოთ. გამშვებ-ჩამკეტს, ჩამოვალ და მაშინ ჩავაყენებთ. წავედი. კარგად იყავი, ბერიკაცო, სიკეთეში მოგახმაროს ღმერთმა!

ინჟინერი ჩაჯდა „ვოლგაში“ და წავიდა. მანქანის ძარადან ჩამოიღეს მაგიდა, კარადა, საწოლი, სკამები და ისევ ბუდრუგანაში შეიტანეს.

— სადა გაქვს პროექტი? — ბერიკაცს ჰკითხა ბრიგადირმა.

— ეხლავე მოვიყვან ინჟინერს.

— ეგრე თუა, რაღას უდგეხარ? — მალე მიდი და მოდი, დღესვე თუ არ დავიწყეთ, ორ დღეში დამთავრება გაგვიჭირდება.

ბერიკაცმა ცხენი და ძაღლები ჩრდილში დატოვა და სახლისკენ წახუსხუსდა.

ნახევარი საათიც არ გასულა, ბერიკაცი გამოჩნდა — ხურჯინგადაკიდებული სახედარი მოჰყავდა. მოვიდა, მოიყვანა, ხურჯინი მოხსნა და არხის კალაპოტიდან ამოყრილი მორჩილი და მუშტა-ქვით დაიწყო გავსება.

— რას შვრები კაცო?! — შეფიქრიანდა ბრიგადირი, — აკი ინჟინერს მოვიყვანო?!

— ინჟინერიც ეს არის, — თქვა ბერიკაცმა, ხურჯინის ქვით სავსე თვალს პირი მოაკრა, თასმა დაუჭიმა და გამოყულფა.



— ესა?! — კინაღამ ყბა ჩამოუვარდა ბრიგადირს, სხვებიც გაოცდნენ.

—სწორედაც ესა! — ხურჯინის მეორე თვალიც გაავსო ქვით, — უწინ სად იყო: გახაზ-გამოხაზე, ცოტა აქეთ ფიცარი, ცოტა იქით; წაიკუზე და გახედე ნახაზებიან მილში, მერე წაიღე და დაამტკიცებინე ზევით... — სახედარი ბრძანდებოდა უმაღლესდაუმთავრებელი, უდიპლომო ინჟინერი. ჩვენმა სულკურთხეულმა წინაპრებმა შეამჩნიეს: გამეტებით დატვირთული სახედარი ლივლივ მიდიოდა, არც ჩაზაყდებოდა ხოლმე, არც აზაყდებოდა. მოკლედ ისე მიდიოდა ოღრო-ჩოღრო, დაკუზიანებულ მიწაზე, თარაზოში ვერ გამოიყვანდი ისე ზივ-ზივ. მერე სახედრის ნაკვალევს არხად აქცევდნენ თუ რუდ, ნაღდი და შეუფერხებელი იყო წყლის გასავლელი გზა... მოდი, აკიდება მიშველეთ.

მძიმე ხურჯინი რომ გადაჰკიდეს სახედარს, ისე ჩაიდრიკა, შეშინებულმა ბრიგადირმა ხურჯინის თვალს ორივე ხელი ამოსდო და ჩამოსაგდებად ასწია:

— რასა შვრები, კაცო, კლავ ამ უბედურს! როგორ ეტყობა შენი რომ არ არის?

— მეზობლისაა. შენ ხელი გაუშვი, მე ვიცი და ამან. მსუბუქად აკიდებული კიდევ არ გამოგვადგება... აბა დავიძარით! გამოჰყევით უკან და ნიშანი დაადეთ... აცე, შაჰ-აბაზო, შე სეხნიაძაღლებულო! — ბერიკაცმა ფერდობს გარდი-გარდმო გაუყენა სიმძიმით ჩადრეკილი სახედარი.

ვინ ლომს წამოავლო ხელი, ვინ შემთხვევით გამოყოლილი ბარი ჩამოიღო ძარადან, ვინ სკამის ფეხი მოძებნა, ვინ ქვები წამოკრიფა. სიცილ-ხარხარით დაედევნენ: წინ სახედარი მიირყევა კივ-კივით, უკან კი სიცილით დაოსებული ხალხი მისდევს და ნაფეხურებზე ნიშანს ადებს. ასე გაიარეს რვაასიოდე მეტრი და, ფერდობი ოთხკომლიან უბანს რომ დაადგა თავზე, სახედარს მაშინ მოხსნეს საპალნე.

— ერთიც ვნახოთ, არ წამოვიდა წყალი, მერე რა ვქნათ? — ბერიკაცს მიაჩერდა ბრიგადირი.

— ეგ ზარალი ჩემს კისერზე იყოს, — თქვა ბერიკაცმა, ცარიელი ხურჯინი გადაჰკიდა სახედარს და გავაზე გადაჰკრა სახრე. წადი შაჰ-აბაზო, შინ წადი...

სახედარი ყურების პარტყუნით ჩაუყვა ფერდობს.

მეზობლებმა: სად გვცალიაო და მარტო ბერიკაცი ირჯებოდა წიწილა-არხის გაყვანისას.

იმ საღამოს ხუთი ბულდოზერი ტრახტრახებდა — ექსკავატორების სავალს ასწორებდნენ. მეორე დღეს სამი ექსკავატორი ეჭიდებოდა კირქვიან მიწას. საღამოთი კი არხი უკვე გაყვანილი იყო. მესამე დღეს ხრამებზე ზოგან ბეტონის ღარი გადეს, ზოგან — ბეტონის მილი და ინჟინერიც ჩამოვიდა, გახედ-გამოხედა არხს, მოიწონა და როცა „პროექტის ავტორი“ გააცნეს, არც გაკვირვებია — ასეც ვიცოდიო. ორიოდე საათში წყლის გამშვებ-ჩამკეტი დაუყენეს, საცდელად გაუშვეს წყალი და ამით საქმესაც მორჩნენ.

საშვილიშვილო საქმე გააკეთესო, ბერიკაცმა ათჩაფიანი ზედაშე დახარჯა — ღმერთს ახლა უფრო ეამებაო — ჭედილას მოაჭრა თავი, ორიოდე მოქცეული დედალიც ზედ მიაყოლა და ღია აივანზე გაშლილი სუფრა თონიდან ახლად ამოყრილი, მკლავზე გადასახვევი, სურნელოვანი შოთებით მოფინა. მშვიდად წვიმდა, გრილოდა, ესეც ულვიძებდა მუშებს ჭამის მადასა და დალევის ხალისს.

გამხიარულდა ბერიკაცი, ახალგაზრდობა გაიხსენა, ისიც, ჭერემიდან როგორ მოიტაცა ნათლობაში შეგულებული საცოლე. ეგე, ესაო, ეხლა ისე ჩაჟამებული რომ დაგვტრიალებს თავზე, ვითომ მე სულხანა ნჭმორაძე, ლხინის სუფრას კი არა ვთამადობ, გულხელდაკრეფილი, სამადლოდ დასამარხად გავშოტილვარო. მარტო ეს მიმღვრევს სულსაო: ხუთი ბიჭი გამიზრდია, უმაღლესი მომიტარე-

ბია, კაცად მიქცევია, გზაზე დამიყენებია, დამისახლებია, მაგრამ ხუთ წელიწადში ხუთჯერ არ ჩამომხედავენ ხოლმეო.

და მაინც ქილიკიც გამოუვიდათ, გადაკრულ-გადმოკრული, უწყინარი კბენაც, სიმღერაცა და ჩახვეული ბუქნაც.

მარილი უნდა, საპონი, ასანთი, შაქარი, წვერის გაპარსვა თუ სინათლის ფულის გადახდა — გამოვა ბერიკაცი სოფელში, რომელი ახალგაზრდა გაუბედავს და, ტოლ-სწორები ეკითხებიან:

— რათაო, სულხანავ, რათ გაგვიწყრა გამჩენიო?

— აბა, სულ ქვემოთა კომლიდან შემოჰყევი და გონებით გადახედე მაგათ წინაპრებს, ისინიც ეგეთი წყალნაყიები, კურკიწონიები, ბრიყვები და გაუტანლები არ იყვნენ?

— ჰო, მაგრამ უპირობასაც ხომ მიზეზი უნდა?

— წრეულს ისედაც ჭარბად მოდის წვიმაო.

— მერმისაო?

— ეგენი მარტო უკან იხედებიან. წინ გახედვა, ჩემო ძმაო, ცხოვრების ნიჭია. სიბეჩავე და უღონობა იმან იცის, დღევანდელ კვერცხს ხვალინდელ ქათამს რომ ამჯობინებენ-ხოლმე. ეგრეა: სირცხვილის გრძნობაა კაიკაცობა, მეტი კი არაფერი!

მომდევნო წელი გვალვიანი დაიჭირა. გაზაფხულს ჯერ ყვავილობაც არ ჩაეთავებინა, მიწას პირი რომ გაუმაგრდა, მერე გაირღვა და ბალახ-ბულახის, ხე-ბუჩქების ფესვები გამოაჩინა. ღონიერ ვაზს კლანჭი ვერ მოჰკიდა და სხვაზე ადრე სიმინდსა და ლობიოს დაუღონა ფოთოლი. დასამუხლად წამოშლილ ჯეჯილსაც ნელ-ნელა შეაპარა სიყვითლე. ახლადგადაბრუნებული მთვარე ისე გაიბადრა, ეტყობოდა, ზეცა ერთ თვეს კიდევ არ აიფარებდა ღრუბელს. იმის იქით რაღა იქნება, ის მარტო ერთმა იცის და ღმერთმაო.

საერთო ზვრების მორწყვა დაიწყო და სულხანმაც მაშინ დააბუუბუჟა თავისი ვენახი. გახარებულია ბერიკაცი: აღარც ცხენს აწვალებს წყლის ზიდვით, აღარც თვითონ ჯახირობს — ვენახის თავსა და ბოლოში ბეტონის კასრები ჩადგა, წყლით აავსებს, შინიდან კირი მოაქვს, შაბიამანი, აპარატი და წამალსაც მალე აყენებს, შეწამლითაც მალე შეწამლის ხოლმე. ჯანიც დაასვენა და აღარც ნერვები ეწეწება ქარს აღევნებული თეთრი ღრუბელივით.

ყოველ მეოთხე დღეს რომ მოირწყას ვენახი, არ აწყენს, მაგრამ არხში წყალი დაცოტავდაო — მე შევიმატო და სხვას დავაკლოო — ეუხერხულება ბერიკაცს, ოღონდ სწორს არასოდეს არ გადააცდენს: წიწილა-არხში მზის ჩაწვერვისას გადმოაგდებენ წყალს, ცხენსააჩქარებს, — წყალზე ადრე ჩადის ვენახში — მოიმარჯვებს თოხსა და გულდადებით უმარჯვებს ვაზებს. ორი მწკრივი რომ დარჩება მოსარწყავი, თოხს ცოლს მიაწვდის: აემ მწკრივებზე ჩაატარე წყალი. მერე გასადევრებზე მიუშვი, ბალახი გაალაღე, ცხენსაც ამაგი აქვსო. შეჯდება თავის მრეშ ულაყზე, ატორღიალებულ ძაღლებს დატუქსავს, ისევ ვენახში მიაბრუნებს — ღამეა, დედაკაცი არავინ შეაშინოსო, და წყლის ჩასაკეტად მიიჩქარის.

გაზაფხული დღეებს ითვლის, გვალვა კი ღონეზეა — თანდათან მატულობს, ურწყავ ვენახებს ფერი დაეკარგათ, მარტო ბერიკაცის ვენახი სივსივებს ლურჯად. ფერდობიდან რომ გადახედავ, ეს სილურჯე უფრო მაშინ იგრძნობა მკვეთრად.

დილა-საღამოს ბერიკაცი შემოირტყამს პატრონტაშს, ორლულიან თოფს გადაიკიდებს მხარზე, შეჯდება ცხენზე და თავის წიწილა-არხს აუვლის და ჩაუვლის, აუვლის და ჩაუვლის. ძაღლები ამ დროს მსხვილი ჯაჭვებით უბია. ცოლმაც იცის: რაც უნდა ბეჯითად უხმოს ბერიკაცმა, არამც და არამც არ შეიძლება აშვება.

— რაო სულხანავ, ჯერ არ მოუპარავთ წყალი?— ეკითხებიან შემხვდურები.

— ჯერ არა. ელოდებიან როდის წავალ საითმე. მანამდე არაფერი ჭამონ, ვიდრე ნამორაძეს ერთი დღით მაინც გააქცევდეს სოფლიდან, თუნდაც აი... შავი ქალალდის სივაგლახე! — და თოფი მეორე მხარეზე გადააქვს.

ერთ საღამოსაც ხედავს ბერიკაცი, ხედავს და ჰგონია სიზმარში ვარო: თედო ანთაძეს მიუშვია წყალი, მოუღრეცნია კისერი — თვალები უტყუის. და მარჯვნივ იყურება, თოხს კი მარცხნივ უჩაჩუნებს.

სულხანმა თოფი მოიხსნა მხრიდან და ვიდრე ცხენიდან ჩამოხტებოდა, ორივე ლულა მიუშვა:

— მანდ უნდა დაგაღლაო, შენს ვენახში, მე შენი მკვდარი და ცოცხალი!...

თედომ თოხი დააგდო, ძეძვის ღობეზე ისე მსუბუქად გადაევლო, ვითომც რისი სამოცისა, ოცი წლის შელერებული ბიჭიაო.

ბერიკაცმა ვაზნები გამოცვალა და დაედევნა. თვალი შეასწრო: თედო სიმინდში შევარდა. ღობე გადაჭეჭყა და შეჰყვა.

— ღრენიავ! მურიავ! — ძაღლებს გასძახა ბერიკაცმა, — ისე უნდა დავაფლეთინო, დასამარხავადაც აღარ ივარგო, მე შენი კეთილები... — ტყვიაც თან მიაყოლა.

პატრონის ხმაზე აყეფდნენ, აღავლავდნენ, აყმუვდნენ ძაღლები.

მთელი სიმინდი გადაჩხრიკა ბერიკაცმა, მაგრამ, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, ველარსად დალანდა თედო.

სოფელმა მაშინვე გაიგო: სულხან ნამორაძემ მოსაკლავად გაიმეტა თავისი მეზობელი თედო ანთაძეო; გაიგო და ჩაილმა — კარგადაც უქნიაო.

თედო რაიონში ჩავარდა, მილიციაში. მეზობელი გამიგიჟდა და ორჯერ მესროლაო.

უბნის ინსპექტორს დაურეკეს რაიონიდან, ვინმე სულხან ნამორაძე გაგიჟებულა მანდა, თურმე უწყინარ, უდანაშაულო, ცხვარივით ხალხს მოსაკლავად დასდევს, ვიდრე ამოვალთ, რამე უბედურება არ დაატრიალოს, ახლავე დააკავე და აქ მოგვგვარეო.

ინსპექტორმა ბინდისას შინ მიაკითხა დამნაშავეს — უკვე მშვენივრად იცოდა, რა როდის მოხდა და რატომ. ბერიკაცს წყალი ჩაეკეტა, ძაღლები აეშვა, ხართუთის ქვეშ დაბალ მაგიდაზე გაეშალა სუფრა და ვახშმობდა.

ინსპექტორი და ბერიკაცი ღიმილით შეხვდნენ ერთმანეთს. სულხანის ცოლმა თეფში, ჭიქა და დანა-ჩანგალი გამოიტანა მარნიდან.

— მილიციის უფროსი გიბარებს, — გაიცინა ინსპექტორმა და სავსე ჭიქა აიღო, — შენ გაგიმარჯოს სულხანა ძიავ, შენი კეთილი გულითა და დალაგებული ოჯახით.

— იცოცხლე! რა მინდაო? — ბერიკაცსაც გაეცინა.

— საქმე მაქვსო.

— ჰოო... — ისევ გაიცინა, — აი, რას გეტყვი, შვილო, ომში ვიყავი? ვიყავი. ბერლინში შესვლა მინდოდა და არ გამიშვეს, მწყემსები გვჭირდებაო. გამომატანეს ორდენები? გამომატანეს, ორმოცდახუთი წელი ცხვარში გამიტარებია? გამიტარებია. აქაც მომცეს ორდენები? მომცეს. ხუთი შვილი გამიზრდია? გამიზრდია. თვრამეტი შვილიშვილი მყავს? მყავს. პენსია მაქვს? მაქვს. რაღა ბევრი გავაგრძელო, კაცურად მიცხოვრია და სამილიციო სატკივარიც არა მჭირს. ჩემს საქმეზე მე მივდივარ ხოლმე და რაკი იმას ჰქონია ჩემთან საქმე, კეთილ ინებოს, თავი დაიმდაბლოს და თვითონ მობრძანდეს.

— ერთიც ვნახოთ და მოგეკლა? — დაფიქრდა ინსპექტორი.

— მამაშენი სად არის?— ჰკითხა ბერიკაცმა.

— წელან შინ იყო.

— ეხლაც შინ იქნება... გაზეთს უსათვალოდ ვკითხულობ, ახლოც კარგად ვხედავ, შორსაც. იცი, მე და მამაშენს ორმოცდახუთი წელი ერთად გაგვილევია ცხვარში. ჰკითხე ერთი, სულხან ნამორაძეს როგორი თოფი აქვს და როგორი მსროლელია თქო. რათა გგონია, იგრე გადავცდები ჭკუაზე, ამ ის გულისთვის კაცის ცოდვას დავიდებ? სიმინდში ვეძებდი და კარგად კი ვხედავდი, ეგე, ობოლას ვენახში იყო გაცქნაფული... ამ ჭიქით, ხსენებაზე, მამაშენს გაუმარჯოს!

მერე ხელადა რომ ჩაანახევრეს და თვალები აუჟუჟუნდათ, ინსპექტორმა შეაპარა:

— ხომ მართლა გიყვარს მამაჩემი?

— აგრე დაპირქვავდეს ჩემი ოჯახი, — თმაში თუ გამოვარჩიო! — ბერიკაცმა ჩაბდის ქუდი მოიხადა და მიწაზე დაახეთქა.

— მეც ხო გეჭიდები გულზე?

— არა გრცხვენია, შვილო?!

— ჰოდა, ან იმისი ხათრი შეინახე, ან ჩემი, მოარწყევინე მეზობლებს.

— სხვა სალაპარაკო არა გაქვს? — მოიღრუბლა ბერიკაცი, — კიდევ ჩამოაგდებ ამაზე სიტყვას და შენც დაგკარგავ შარშანდელი თოვლივით!

— მაშ რა ოხრობა ილონონ?

— ახალი გაიყვანონ. ეგ არხი ჩემთვის ჩამომიტარებია ფერდობზე. გადასახადს კაპიკ-კაპიკ ვიხდი— კანონს პატივსა ვცემ. მისხალის ოდენა შარს ვერ მომდებთ და მიზეზს ვერ მიპოვნით, რას მიზამთ?

— მოდი შეიცოდე, ეგ უბედურები. აკი უთხრეს, მაგ გზაზე მეორე არხი არ ეტევაო!

— თავში ქვა იხალონ, რაც უნდა ისა ქნან! ბოროტი, შურიანი, თავკერძა კაცისთვის სიღარიბე არ მეშურება და სივაგლახე... ავკაცობას კაიკაცობით ვერ გადაუხდი, ვერა!... შენ იმაზე იფიქრე, შვილო, უფროსობას უჩემოდ რომ მიუხვალ, რას ეტყვი?

— რასაც ვეტყვი, ვეტყვი. მთელი სოფელი შენს მხარეზეა, მეტი რაღა ვუთხრა!—გაბრაზდა ინსპექტორი, — კანონი და კანონიო! პატიოსანი კაცის სულში როა, ჯერ იმ კანონს უნდა დაცვა!... სოფელი გიცავს და თითსაც ვერ დაგაკარებენ!

— წაიღონ ეს ოხერი წყალი, კაცო! — ახლაღა ამოიღო ხმა სულხანის ცოლმა, — რა გაუმაძღრობაა, ჩვენც გვეყოფა და იმათაც!

— პეშვით რომ დასწვდნენ, იმასაც არ დავთმობ!

— იმათი შვილები, ჩვენი შვილებია... გაბოროტდებიან კაცო!

— ამას სწორედ შვილებისათვის ვაკეთებ! სხვა თუ არა, ეს ერთი მაინც უნდა იცოდნენ: ბრიყვს, ავაზაკს, რეგვენს არაფერი არ უნდა დაუთმო, სანაგვეთზე გადასაგდები, ალალი ხელით მოწყვეტილი ჭიანი ტყემალიც კი!

— შენ დაგაყარე მიწა, კაი ჯიუტი შენა ხარ! — ჩამოსწყევლა ცოლმა და წამოდგა.

ბერიკაცი დაიხარა. მიწა მოფხოჭნა, ხელის გულზე დაიყარა და თვალებთან მიუტანა ინსპექტორს:

— აი, შვილო, იმას მამუქრებს, რაც ჩემს თავზე მეტად მიყვარს!

ინსპექტორი ნაღვლიანად დააჩერდა აკანკალებულ, დაბედებულ ხელისგულზე ამობორცვილ მიწას:

— ცოდოა ვენახი.

ბერიკაცმა თალარს ახედა. თავი სინანულით გააქნია და ყრუდ თქვა:

— კარგი. მორწყან... ვაზის ხათრითა. თორემა!..



# მეგობრობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალა ქაროსანიძე



დესანკა მაქსიმოვიჩი.



ბერისლავ კოსიერი.



ცისანა მურუსიძე.

შარშან ტურისტული საგზურით იუგოსლავიაში წავედი. მთარგმნელმა ნუნუ ხომერიკმა მთხოვა, მის მიერ თარგმნილი იუგოსლაველი პროზაიკოსის ბერისლავ კოსიერის რომანი „ხე და არწივის ბრჭყალები“ გადამეცა ავტორისათვის. ეს რომანი გამომცემლობა „მერანმა“ დასტამბა და მწერალმა ამის შესახებ არა იცოდა რა.

ჩვენს ხელმძღვანელს, ზეზვა ღუღუნიშვილს ვთხოვე, დამხმარებოდა მწერლის მოძებნაში.

8 ოქტომბერს ჩავედით ბელგრადში. შემოდგომის თბილი თბილისური დღე იყო. სასტუმრო „პუტნიკში“ დავბინავდით. საუზმის შემდეგ, როცა თავისუფალი დრო მოგვცეს, ქალაქის ცენტრისკენ გავწიე. გამომცემლობა „მერანმა“ ამ რამდენიმე წლის წინ გამოაქვეყნა იუგოსლაველი პოეტი ქალის დესანკა მაქსიმოვიჩის ლექსთა კრებული, რომელიც მედეა კახიძემ თარგმნა. პოეტი სტუმრად გახლდათ საქართველოში მედეა კახიძესთან. მაშინ დესანკა მაქსიმოვიჩი მედეას საშუალებით გავიცანი. ვიცოდი, რომ დესანკა ბელგრადის ცენტრში ცხოვრობდა; უცებ გავიფიქრე, მენახა დესანკა მაქსიმოვიჩი და მისი მეშვეობით მომეძებნა ბერისლავ კოსიერი. ქუჩის ბოლოში ორი სიმპათიური მანდილოსანი იდგა და საუბრობდნენ... შევეკითხე, შემთხვევით დესანკა მაქსიმოვიჩს ხომ არ იცნობთ და სად ცხოვრობს-მეთქი. დესანკას როგორ არ ვიცნობთ, ჩვენი საყვარელი სახალხო პოეტიაო, მიპასუხეს და დიდი გულითადობით მიმასწავლეს მისი ბინა.

შინ დესანკას და, სიმპათიური გარეგნობის მანდილოსანი, მარა მიხაილოვნა დაგვხვდა, დესანკა სამეცნიერო სესიაზე წასულიყო. მარა მიხაილოვნამ მოიკითხა მედეა კახიძე თავისი ოჯახით.

ეს საოცრად ხალისიანი მანდილოსანი ვერ გაძღა საქართველოს ამბების გახსენებით. უამრავი რამ იცის ჩვენი ქვეყნის შესახებ. როცა მოკითხვებს და საქართველოს ამბებს მოვრჩით და ყავითაც გამიმასპინძლდა, ვკითხე, ხომ არ იცნობთ პროზაიკოს ბერისლავ კოსიერს, მე მისი წიგნი ჩამოვიტანე ქართულად თარგმნილი და უნდა გადავცე-მეთქი. შემომხედა და მითხრა: ბერისლავი ჩვენი ოჯახის კარგი მეგობარიაო.

მარა მიხაილოვნა წამოდგა, ტელეფონთან მივიდა და დარეკა. ბერისლავი შინ არ აღმოჩნდა. ბერისლავის დედას დაუბარა, რათა გადაეცა, საქართველოდან ჩამოსულია ქალი, რომელმაც მისი წიგნი „ხე და არწივის ბრჭყალები“ ჩამოიტანა ქართულ ენაზე თარგმნილი და უნდა გადასცესო, თან ისიც დაუმატა, თუ რომელ სასტუმროში ვიმყოფებოდი.

როცა სასტუმროში დავბრუნდი, პორტიემ ბარათი გადმომცა, რომელზეც ბ. კოსიერის სახელი, გვარი და ტელეფონის ნომერი იყო აღნიშნული.

ბერისლავი და მე ტელეფონით შევთანხმდით 4 საათისათვის შევხვედროდით ერთმანეთს. და აი, ნომერში შემოვიდა შავგვრემანი, საშუალოზე მაღალი, სიმპათიური გარეგნობის კაცი.

დიდი ხანია გამომცემლობაში ვმუშაობ. ბევრი წიგნის დაბადების და წიგნის გამოცემის დროს გამოწვეული სიხარულის მოწმე ვყოფილვარ, მაგრამ ის სიხარული, რაც იმ წუთში მწერალმა განიცადა, არ მინახავს.

გახარებულსა და აღფრთოვანებულს, რა გაეკეთებინა, არ იცოდა. მთარგმნელმა წიგნზე ქართულად წააუწერა: „ბატონ ბერისლავ კოსიერს, დიდი პატივისცემით“. ბერისლავმა ეს წარწერა რამდენჯერმე წამაკითხა და გადამათარგმნინა, თან დასძინა, როგორ კარგად მოქცეულა, ქართულად რომ წაუწერია წიგნზეო.

წიგნთან ერთად იყო მთარგმნელის ბარათი: „დიდად პატივცემულო ბატონო ბერისლავ კოსიერ! 1970 წელს მოსკოვში შევიძინე თქვენი რომანის „ხე და არწივის ბრჭყალების“ რუსული თარგმანი. თავისი შინაარსით, ფორმის ორიგინალურობით, ხალხური სიბრძნითა და პოეტურობით ძალიან ამაღელვა ამ ნაწარმოებმა. გადავწყვიტე, ქართველი მკითხველისათვის უეჭველად გამეცნო ეს თხზულება და მაშინვე თარგმნას შევუდექი.

შარშან ეს წიგნი დაისტამბა, ვსარგებლობ სასიამოვნო შემთხვევით, რომ ჩვენი გამომცემლობის რედაქტორი ციალა ქაროსანიძე ტურისტული საგზურით იუგოსლავიაში მოემგზავრება, ვიმედოვნებ თქვენ შეხვდეთ ერთმანეთს და ვატან ქართული თარგმანის ორ ეგზემპლარს. გადავწყვიტე რა ვისარგებლო ამ სასიამოვნო შემთხვევით, სალამს გითვლით თქვენ, შესანიშნავ მწერალს, გისურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებას, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში“.

წერილი რამდენჯერმე წაიკითხა. მერე დაწვრილებით გამომკითხა მთარგმნელის ვინაობა.

— იცი რა მიხარია? — მითხრა ბერისლავმა, — თვითონ ფაქტი, რომ ჩემი წიგნი ქართულად გამოვიდა, ეს ჩემთვის დიდი ბედნიერებაა.

საუბარს რომ შევყევით ცოტა ხნის შემდეგ მკითხა: ხომ არ იცნობთ თქვენს თანამემამულე რეჟისორ ქალს ცისანა მურუსიძეს, რომელიც ბელგრადში ცხოვრობს და მოღვაწეობსო. არა-მეთქი, მივუგე, მაგრამ მის შესახებ ბევრი რამ ვიცი-მეთქი.

ბერისლავმა მთხოვა ჯერ დესანკა მაქსიმოვიჩთან წავსულიყავით. იმ დღეს მეორეჯერ მომიხდა მარა მიხაილოვნას ნახვა. მასთან ახლა მისი შვილიშვილიც იყო, დუბინა. მარა მიხაილოვნა გაგვიმასპინძლდა, გაიხსენა ის დღეები, დესანკასთან ერთად რომ იყო საქართველოში, ბერისლავს ურჩია აუცილებლად უნდა ნახო ეს მშვენიერი ქვეყანაო.

ბერისლავმა მკითხა: დესანკას წიგნში, რომელიც თქვენ გამოეცით, ხომ არ არის შესული მისი ახალი პოემაო. ეს ნაწარმოები ქართულად არ გამოქვეყნებულა-მეთქი, მივუგე. დესანკაზე უკვე კარგა ხანია ამბობდნენ, მოხუცდა, ყავლი გაუვიდა, აწი ვერაფერს დაწერსო, — განაგრძო ბერისლავმა, — მაგრამ ისეთი პოემა დასწერა, რომ ყველას აგრძნობინა მოხუცებულობა არაფერ შუაშიაო.

დესანკას შეაგვიანდა, ეტყობა კარგა ხანს კიდევ არ მოვიდოდა, ამიტომ წასვლა გადავწყვიტეთ. ბერისლავი მივიდა ტელეფონთან და ნომერი აკრიფა. კარგა ხნის ლაპარაკის შემდეგ გადმომცა ყურმილი და მითხრა, ქართულად ელაპარაკეთო. მივხვდი, ვისთანაც უნდა მელაპარაკა, ეს ცისანა იყო. შევთანხმდით, რომ სასტუმროს ვესტიბიულში შევხვედროდით ერთმანეთს.

სასტუმროს ფოიეში შემხვდა ზეზვა ღუღუნიშვილი. ბერისლავ კოსიერი გავაცანი და ყველანი ერთად დაველოდეთ ცისანას. აგერ ისიც. თითქოს მთელი სიცოცხლე ვიცნობდით ერთმანეთს, ისე შევხვდით.

ავედით ნომერში. ბერისლავმა ცისანასაც წააკითხა წიგნზე გაკეთებული წარწერა და გადაათარგმნინა, თან სთხოვა, წაიკითხე ჩემი წიგნი და მითხარი როგორ ჟღერს ქართულადო. საუბარში ჩავერიე, თქვენი რომანი კარგად არის თარგმნილი და სიამოვნებით იკითხება-მეთქი.

ბერისლავმა მაგიდაზე ქართული სიგარეტები შენიშნა. შევთავაზე. როცა სიგარეტი გააბოლა, სიამოვნებით მითხრა, — რაც შეეხება საქართველოს, მე უკვე ყველაფერი მიყვარს მისიო. თქვენი ქვეყანა დიდი ხანი არ არის რაც შევიყვარე. ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა ამ ლამაზ მხარეზე. წელს გაზაფხულზე ბელგრადში ტელევიზიით ჩატარდა ქართული კინოს ფესტივალი. მე ვნახე თქვენი შესანიშნავი ფილმები: „ფიროსმანი“, „იყო შაშვი მგალობელი“, „ფერისცვალება“, „არ დაიდარდო“, „ვერის უბნის მელოდიები“ და „შერეკილები“. იოსელიანი ჩინებული რეჟისორია, თავისებური, მართალი. ძმები შენგელაიები ნიჭიერი და კარგი შემოქმედები არიან. „შერეკილები“ ლირიული და ფაქიზი ფილმია. რაც შეეხება „ფიროსმანს“, ეს ერთ-ერთი დიდებული ფილმია. ფიროსმანი ჩემთვის დიდი აღმოჩენაა.

ამ ფილმების ჩვენებით დიდი საქმე გაკეთდა. იუგოსლავიამ კარგად გაიცნო ეს შესანიშნავი ქვეყანა და იწამა მისი ხელოვნება. მე დიდი სურვილი გამიჩნდა ვნახო საქართველო და რა თქმა უნდა, ფიროსმანი.

ცისანას მიუბრუნდა და უთხრა: — ბევრი საქმე უნდა გააკეთო შენი ქვეყნის პოპულარიზაციისათვის, ხიდივით უნდა იყო შენსა და ჩვენს ქვეყანას შორის. იუგოსლაველ მკითხველს უნდა გააცნო ქართველი პროზაიკოსები, პოეტები, დრამატურგები, მოკიდე ამ საქმეს ხელი, ამაზე კარგი რა შეიძლება გააკეთოს კაცმა!

— რა თქმა უნდა, ეს საქმე მოგვარდება, — მიუგო ცისანამ, — მე როცა აქ ჩამოვედი და ბელგრადის ძველ ნაციონალურ თეატრში დავიწყე მუშაობა, პირველ რიგში დავდგი მაიაკოვსკის „აბანო“ და „ბაღლინჯო“. ეს შენ კარგად იცი. ახლა მინდა დავდგა პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე“.

ცისანას ვკითხე: რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „ყვარყვარე“ ნახე თუ არა-მეთქი. არაო, მიპასუხა. ძალიან ცუდ დროს მომიხდა წელს საქართველოში ყოფნა, თეატრი გასტროლებზე იყო, გული მწყდება რუსთაველის თეატრის ვერც ერთი სპექტაკლი ვერ ვნახეო. შეიძლება კარგიც არის, რომ რუსთაველთა „ყვარყვარე“ არ ვნახე, მე ჩემებურად მაქვს გადაწყვეტილი და ვნახოთ, რა გამომივაო.

ბერისლავი მომიბრუნდა და მითხრა, ცისანას ძალიან კარგი დადგმები აქვს და დასანანია, რომ დროის უქონლობის გამო, ვერ ნახავთო.

ლაპარაკში გართული რომ ვიყავით, ტელეფონმა დაიწკრიალა. დესანკა მაქსიმოვიჩი რეკავდა. საოცრად გულდაწყვეტილი იყო, რომ ვერ შევხვდით ერთმანეთს. მთხოვა, მედეა კახიძისთვის გადამეცა, რომ მისი ლექ

ხების კრებული დაბეჭდილია და 20 ოქტომბრისათვის წიგნი მზად იქნებაო. თან ბოდიში მომიხადა, ხვალ ქალაქგარეთ აგარაკზე მივდივარ და ვერ გნახავთო.

გვიან ღამემდე ვისხედით სასტუმროში და კვლავ სასიამოვნო თემებზე ვსაუბრობდით. ვატყობდი, ბერისლავს წასვლა არ უნდოდა. ამ მთისა ვთქვით, იმ მთისა. საუბარი ხშირად მის წიგნზე ჩერდებოდა. ბერისლავი ვერ ახერხებდა დიდი სიხარულის დამალვას.

წიგნს ხელში ატრიალებდა, გარეკანს დასცქეროდა და ამბობდა: მხატვრულად კარგადაა გაფორმებული. ყდაზე თითქოს ხის ქერქია შემოხვეული, ჩემი სიუჟეტის მთავარი ძარღვი გარეკანზეა გამოტანილი.

• • •

9 ოქტომბერს საღამოს ჩვენი ჯგუფი ბელგრადიდან გავიდა. მოვიარეთ ქალაქები ლუბლიანა, რიეკა, ოპატია, პულა.

17 ოქტომბერს დილით ისევ ბელგრადში დავბრუნდით, ისევ იმ სასტუმროში. დესანკა მაქსიმოვიჩი ტელეფონით დამიკავშირდა, შინ მიმიწვია. მადლობა გადავუხადე, დავპირდი, მოვალ-მეთქი, მაგრამ მისვლა ვეღარ მოვახერხე.

საოცრად დამწყდა გული პირადად რომ ვერ ვნახე ეს შესანიშნავი პოეტი ქალი.

მაქსიმოვიჩისგან შევიტყვე, ბერისლავ კოსიერი ბელგრადიდან სარაევოში წასულა ლიტერატურულ საღამოებზე და დიდი ბოდიში მოგიხადათ, წასვლის წინ რომ ვერ გნახათო.

როცა თბილისში დავბრუნდი, სულ რაღაც მოკლე ხანში, ნუნუ ხომერიკმა ბერისლავ კოსიერის ბარათი მიიღო. აი, რას წერს იგი:

„ძვირფასო ნუნუ გერმანეს ასულო!

მე ძალიან ბედნიერი ვიყავი, როდესაც ციალა ქართსანიძემ ჩემი რომანის „ხე და არწივის ბრჭყალები"-ს თქვენეული თარგმანი გადმომცა. გულითადი და დიდი მადლობა ამ დიდებული სიურპრიზისათვის. არ ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადოთ იმ განუსაზღვრელი შრომისა და სიყვარულისთვის, რომელიც გამოიჩინეთ ჩემი ბერიკაცის, ფრთოსანისა და ხე-ფალავნის, მათი ამაყი ბედის მიმართ!

ვწუხვარ, რომ პირადად თქვენ არ ჩამობრძანდით იუგოსლავიაში, ბელგრადში.

რასაკვირველია, მეც ვისურვებდი მენახა თბილისი, საქართველო (მე რამდენჯერმე მოვლილი მაქვს მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი და ოდესა), მაგრამ ეს იქნება ალბათ მომავალ გაზაფხულს ან კიდევ ზაფხულს. ვნახოთ!

ჩვენს უდიდეს იუგოსლავურ ყოველდღიურ გაზეთში მაშინვე გამოაქვეყნეს ცნობა ჩემი რომანის ქართულად თარგმნის შესახებ და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, პატარა შეცდომით დაუბეჭდავთ თქვენი გვარი (ჰმ! ის კი არა, მოხდება ხოლმე, ჩემს გვარსაც ზოგჯერ შეცდომით ბეჭდავენ!). ასევე ოდნავ სხვანაირადაა აღწერილი ციალასთან ჩემი შეხვედრა, სინამდვილეში ეს სულ სხვანაირად მოხდა. რა ვუყოთ მერე! ეგ არაფერი! სხვათა შორის, ეს ამბავი ბელგრადის ტელევიზიამაც აუწყა იუგოსლავიის საზოგადოებას (უკვე უშეცდომოდ).

გთხოვთ, გადასცეთ ჩემი გულითადი სალამი ციალა ქართსანიძეს — დასანანია, რომ ერთის მეტად ვეღარ შევხვდი მას.

ამჟამად ჩემთან სტუმრად იმყოფება ო. დ. კუშისოვა— ჩემი რუსი მთარგმნელი, რომელსაც მოსკოვში თან მოაქვს ჩემი ახალი რომანი „თეთრი წარღვნა", რომლის გამოცემა განზრახული აქვს „მხატვრული ლიტერატურის" გამომცემლობას.

კიდევ ერთხელ გულითადი, დიდი მადლობა, ძვირფასო ნუნუ გერმანეს ასულო, ვიმედოვნებთ, რომ შევხვდებით ერთმანეთს თბილისშიაც და ბელგრადშიაც.

გულწრფელი სალამით და საუკეთესო სურვილებით

ბერისლავ კოსიერი







ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი უნივერსამები





ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებმა ამას წინათ კარგი საჩუქარი მიიღეს. თბილისში გაიხსნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრალურ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება „თბილხილბოსტანვაჭრობის" უნივერსალური მაღაზია № 2 და ლენინის სახელობის რაიონის კვებვაჭრობის სავაჭრო ცენტრი — უნივერსამი № 1.

ორივე მაღაზიას აქვს ვრცელი, ნათელი და კეთილმოწყობილი სავაჭრო დარბაზები, სამაცივრე განყოფილებები, სხვადასხვა დამხმარე სათავსები, თანამედროვე ტექნიკური დანადგარები. შრომის პირობების გასაუმჯობესებლად მომსახურე პერსონალისათვის მოწყობილია სამხაპეები, დასასვენებელი და გასახდელი ოთახები...

თანამედროვე სტილით აგებულ მაღაზიებში, რომლებიც ძირითადად დაკომპლექტებულია ახალგაზრდა კადრებით, ყოველგვარი პირობებია შექმნილი მომხმარებელთა კულტურული მომსახურებისათვის.

— მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, — გვითხრა დიღმის მიკრორაიონში მოთავსებული „თბილხილბოსტანვაჭრობის" № 2 მაღაზიის დირექტორმა ვენერა ბანძელაძემ, — ვაჭრობის მუშაკებისაგან გაორკეცებულ ენერგიას მოითხოვს. ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები, ზოგიერთი საკითხი სასწრაფო გადაჭრას და გააზრებულ მოგვარებას მოითხოვს. უკანასკნელ ხანებში რესპუბლიკაში შექმნილი მორალურ-პოლიტიკური ატმოსფერო, ის დიდი დახმარება, რომელსაც ვაჭრობის მუშაკებს გვიწევენ, ეჭვი არ არის, ახალი ძალით წარმართავს ჩვენს შემდგომ მუშაობას და მომხმარებელი ყოველთვის კმაყოფილი გვეყოლება.

ვიქტორ ჯეირანელის ფოტო







ეს ფოტოსურათები ვიქტორ ჯეირანელმა გადაიღო ახალ უნივერსამებში







# ᲙᲕᲚᲐᲕ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ...

ხელოვნება

ჰენრიკ იბსენის „მოჩვენებანი“, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა, მაყურებელს ძლიერ მოეწონა. ყურადღების ცენტრში საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების, სახელმწიფო პრემიის ლაურეატების ვერიკო ანჯაფარიძისა (ფრაუ ალვინგი) და აკაკი ვასაძის (პასტორი მანდერსი) ვირტუოზული თამაშია.

... 1925-26 წლის სეზონში კოტე მარჯანიშვილმა რუსთაველის სახელობის თეატრში შექსპირის „ჰამლეტი“ დადგა. ოფელიას როლს ვერიკო ანჯაფარიძე ასრულებდა, კლავდიუსისას — აკაკი ვასაძე. რადგან რუსთაველის თეატრის დასი ორად გაიყო, შემდეგ მათი გზებიც გაიყარა. კოტე მარჯანიშვილმა ახალი თეატრი დააარსა. ერთ-ერთი პირველთაგანი ვერიკო ანჯაფარიძე იყო, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში გადავიდა. აკაკი ვასაძე კი რუსთაველის თეატრში სანდრო ახმეტელთან დარჩა.

ახლა, ნახევარი საუკუნის შემდეგ, საბჭოთა სცენის ეს ორი გამოჩენილი ოსტატი კვლავ შეხვდა ერთმანეთს. ცოტა ვინმე თუ არის მოწმე წარსულში მათი ერთად თამაშისა, ასევე მეტად მცირე ოსტატი შემორჩა ქართულ სცენას იმ შესანიშნავ მსახიობთა თაობიდან, რომლებმაც შექმნეს რუსთაველის, შემდეგ კი — მარჯანიშვილის თეატრი.

... სპექტაკლ „მოჩვენებანის“ შემდეგ მსახიობებს კულისებში შევხვდი და რამდენიმე შეკითხვა მივეცი. პირველი შეკითხვა პარტნიორობას ეხებოდა.

— აკაკი დიდებული პარტნიორია, — თქვა ქალბატონმა ვერიკომ, — იგი ძლიერი ლოგიკის, ემოციისა და ბრწყინვალე ტექნიკის მსახიობია. მასთან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ყურადღების ოდნავ მოდუნება. აკაკიმ ჩვენი ახალგაზრდობა გამახსენა. მიხარია, მაგრამ ამ სიხარულში გარდასული, დაუბრუნებელი ახალგაზრდობის შეგრძნებით გამოწვეული სევდაც ურევია. სწრაფად, თითქოსდა გუშინდელი დაშორების შემდეგ, აღსდგა ჩვენ შორის შემოქმედებითი დამოკიდებულება, შეგრძნება, ემოციური აღქმა, ურთიერთგაგება.

— რა ვთქვა ვერიკოს შესახებ ისეთი, რაც არა თქმულა? — ამბობს ბატონი აკაკი და იღიმება, მცირე დუმილის შემდეგ კი განაგრძობს, — ვერიკოსთან თამაში ყველასათვის ოცნებაა. იგი სცენაზე შთაგონების წყაროა, დიახ, შთაგონების წყარო. სხვათა შორის, მისი პარტნიორობა საშიშია. შეიძლება ისე მოიხიბლო მისი სცენური ეშხით, ნიჭითა და ზემოქმედებით, რომ სცენაზე მაყურებლად იქცე. ვერიკოს შევხვედრივარ კინოგადაღებებზე, მაგრამ კინო სულ სხვა სამყაროა. სცენა სულ სხვაა — ვერიკოსთან პარტნიორობა უდიდესი შემოქმედებითი სიამოვნებაა!

— ბატონო აკაკი, თქვენ ახმეტელთან დარჩით, გაიზიარეთ მისი რეჟისორული კრედო. ცნობილია, რომ მარჯანიშვილი სინთეზური თეატრის დედაბოძი იყო, ახმეტელი კი ჰეროიკულ-რომანტიკულისა. ნახევარი საუკუნის შემდეგ თქვენ დაუბრუნდით მარჯანიშვილის თეატრს; როგორ ავხსნათ ეს მოვლენა?

— სინთეზური თეატრი — ეს ცნება თეატრის ყველა ჟანრის იდეალურ და ორგანულ შერწყმას გულისხმობს, ვიმეორებ, გულისხმობს აგრეთვე ჰეროიკულ-რომანტიკული მიმართულების შერწყმასაც. გაიხსენეთ „ურიელ აკოსტა“, „როგორ“, „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ და სხვა მრავალი. აქ იყო გამოყენებული ესტრადაც, კინოც, სპორტიც, ყოფითი ინტონაცია და ჰეროიკული საშუალებანიც. ყოველივე ამის მთლიანობაში გადაწყვეტა მხოლოდ მარჯანიშვილს შეეძლო. სანდრო ახმეტელმა კი სინთეზური თეატრის ცნებიდან წინ წამოსწია ჰეროიკულ-რომანტიკული მხარე და სხვა დანარჩენი მას დაუმორჩილა. მაგალითად, განა ახმეტელის „თეთნულდი“, არ შეიცავდა სინთეზურ თეატრს? რა თქმა უნდა, შეიცავდა; მაგრამ აქ ჰეროიკა სჭარბობდა.

ახმეტელმა შექმნა რამდენიმე სწორუპოვარი სპექტაკლი. იგი მსოფლიო მოვლენა იყო. მომწონდა რეჟისორის სიძლიერე, გატაცება და მასთან დავრჩი.

— თანამედროვეობამ ხომ არ მოითხოვა ორივე თეატრის ტრადიციების შერწყმა?

— რასაკვირველია. უფრო მეტიც, თეატრი ახლა უფრო კონკრეტული, უფრო რეალური, ვიტყოდი, დოკუმენტურიც კი გახდა, რაც, სხვათა შორის, კინოში უფრო ნათლად იგრძნობა. თანამედროვე თეატრი ველარ იტანს ძველი ყაიდის გრიმს, თეატრალურ-პათეთიკურ მეტყველებას, გამოიძებნა ახალი ინტონაცია, ელფერი, რაც, რასაკვირველია, თანამედროვეობამ მოითხოვა. ყველაფერი გადაადნო, მოინელა და მოირგო ატომის ეპოქამ, დღევანდელობამ. ამის ბრწყინვალე მაგალითია ბრეხტის თეატრი. ისე რომ, მარჯანიშვილის თეატრში ჩემი მიწვევა არავის გზების უარყოფა, ანდა ცოდვათა მონანიებად არ ჩაითვლება. ყველაფერი იცვლება და კანონზომიერად ვითარდება.

„მოჩვენებანი“ თემურ ჩხეიძემ დადგა. იგი შვილია რესპუბლიკის სახალხო არტისტის ნოდარ ჩხეიძისა, რომელსაც მე ვასწავლიდი სასცენო ანბანს; ახლა მისი შვილი მე მასწავლის. ეს სიმპტომატურია. თუმცა ნიჭიერი რეჟისორი გამოცდილი მსახიობისაგან ბევრ რამეს სწავლობს.

ბოლოს ქალბატონმა ვერიკომ ბრძანა:

— ჩვენი თაობის მსახიობებმა ქართული თეატრი დღევანდელობამდე მოვიყვანეთ. ჩვენ, მსახიობები, არასოდეს არ ვეკუთვნით გარდასულ თეატრს, ჩვენ ფეხდაფეხ მივყვებით თანამედროვეობის მოთხოვნილებებს. რაკი ვარსებობთ — უნდა შევქმნათ, ამაშია ჩვენი ძალა. დღევანდელმა თეატრმა, აკაკი ვასაძისა არ იყოს, ყველა მიმართულება გააერთიანა და (როგორც არ უნდა მოინათლოს) მაინც სინთეზურია, რომლის ურყევი საფუძველი რეალიზმია.

ᲐᲒᲣᲚᲘ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

## ძველი ჟურნალის ფურცლებიდან

### ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ ᲟᲘᲣᲚ-ᲕᲔᲠᲜᲡ

„ჩვენ დიდად ბედნიერი ვართ, რომ შეგვიძლია გამოგიგზავნოთ ეს ოქროსთავიანი ჯოხი წარწერით, რომლიდანაც გაიგებთ, თუ როგორ პატივსა გცემენ და უყვარხართ ინგლისში ათასობით ბავშვს. ცხადია, რომ ჩვენ არ გვქონდა ამაზე უკეთესი რამ, რომ თქვენთვის გვეთავაზნა. მოგეხსენებათ, ჯიბის ფულს ბევრს არ გვაძლევენ მშობლები, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ყურადღებას არ მიაქცევთ მაგის ღირებულებას და დააფასებთ მას, როგორც თქვენი მოყვარული და პატივისმცემელი ბავშვების საჩუქარს, რომლებმაც ხელის მოწერით შეკრიბეს საჩუქრისათვის ფული“.

### ᲡᲐᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

ასი წლის წინად გეორგ მეექვსემ, მაშინ პრინცმა-მმართველმა, საფრანგეთის პრინცებთან ერთად, რომლებიც ლონდონში ცხოვრობდნენ, შემოიღეს გრძელი შარვლის ტარება, უწინდელის — მოკლეს მაგივრად და პირველად თვითონ ჩაიცვეს. ეს ცვლილება კოხტაობამ და სილამაზემ კი არ გამოიწვია, არამედ ჰიგიენურმა მოსაზრებამ: ბევრი უმაღლესი თანამდებობის პირი რევმატიზმით იყო დაავადებული. მოკლე შარვლები ხელს უწყობდა მათ გაციებას და რევმატიზმით დაავადებას. ლონდონელი მკერავები აღტაცებული იყვნენ, რადგანაც გრძელი შარვლების შემოღება რუსეთსაც შეეხებოდა და იმათაც უნდა ედღესასწაულათ „შარვლების“ იუბილე.

ნეტავ ამის შემდეგ კიდევ რის იუბილეს გადაიხდიან!

### ᲛᲔᲤᲔᲔᲑᲘᲡ ᲭᲐᲛᲘᲡ ᲛᲐᲓᲐ

ჭამის მადაში პირველობა ეკუთვნის ეკატერინე მედიჩს. ერთხელ პარიზის წამომადგენლობამ მედიჩს საუზმე გაუმართა. საუზმეს შეადგენდა: ფარშავანგები, ხოხბები, ბატკნები, ქათმები, კაკბები, მწყერები, ყვერულები, გოჭები, მტრედები, კურდღლები, ინდაურები. ამ საჭმელების გარდა მიირთმევდა სხვადასხვა თევზეულს და ტკბილეულობას. ყველა ამ საჭმელს ეკატერინე მედიჩი ერთნაირი მადით შეექცოდა. თუმცა ლიუდოვიკო მეთოთხმეტე ეკატერინე მედიჩზე არა ნაკლებ ჭამდა. ამ მხრივ ბურბონების მთელ გვარეულობაში ლიუდოვიკო მეთოთხმეტემ ყველას აჯობა, რომელიც განთქმული იყო ბევრი ჭამითა და გაუმაძღრობით.

ვერსალის სასახლეში მეფის სასადილოს და სამზარეულოს ემსახურებოდა ხუთასი მოსამსახურე. როცა საჭმელები მოჰქონდათ ხოლმე სამზარეულოდან სასახლეში, თან მოსდევდა მეფის გვარდია შუბებით ხელში.

საზოგადოდ, ლიუდოვიკო მეთოთხმეტის საჭმელს შეადგენდა: ოთხი სხვადასხვა წვნიანი კერძი, ხოხობი, კაკაბი, ლორი, მაგრად მოხარშული კვერცხები და სალათა.

არც ლიუდოვიკო მეთექვსმეტე ჩამორჩებოდა ჭამაში თავის გვარეულობას. დასჯის წინ მან შეჭამა: ექვსი კატლეტი, მთელი დედალი და ოთხი მაგრად მოხარშული კვერცხი.

მხოლოდ ნაპოლეონ პირველი ძალიან ცოტას ჭამდა და ამასთანავე ძალიან ჩქარა, არ უყვარდა სუფრაზე დიდხანს ჯდომა.

□

ქალბატონ ელეონორა დუზეს ჰკითხეს, როგორ ბრძანდებითო.

—არც ისე კარგად, — უპასუხა დუზემ. — თუმცა ჩემმა ექიმებმა მირჩიეს ფეხით ბევრი იარეო, მაგრამ ჯერ ერთი წყვილი ფეხსაცმელიც კი არ გამიცვეთია ამ ექვს კვირაში.

— ეგ იმიტომ, რომ თქვენ ყველანი ხელის გულზე გატარებენ.



# ლადო გუდიაშვილი — სოციალისტური შრომის გმირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 19 ნოემბრის ბრძანებულებით, სსრ კავშირის სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დიდი ღვაწლისათვის სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა და გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

ჟურნალ „დროშის“ რედაქცია, მისი კოლექტივი ულოცავს დიდ ხელოვანს, ლადო გუდიაშვილს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდების მინიჭებას. უსურვებს მას ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას საბჭოთა ხელოვნების შემდგომი აყვავებისათვის.

ვიქტორ ჯეირანელის ფოტო.

- ლადო გუდიაშვილი.
- მხატვრის სახელოსნოში.
- დიდოსტატის ხელები.
- იაპონელი სტუმარი ლადო გუდიაშვილთან.








ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი იზა გიგოშვილი. სერგო ედიშერაშვილის ფოტო.

ქართველი მაყურებლისათვის ამ ათიოდე წლის წინ იზა გიგოშვილი არც თუ ისე პოპულარული მსახიობი იყო. მაგრამ ყველა მსახიობის შემოქმედებით ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ის თავის თავს „პოულობს".

იზა გიგოშვილისათვის ასეთი მომენტი არის გრუშე ვაჩნაძე. ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრეში", რომელიც უთუოდ მისი შემოქმედებითი ცხოვრების საეტაპო სპექტაკლად დარჩება. როგორც თვით მსახიობი ამბობს: ასეთი როლი მსახიობს შეიძლება ძალზე ცოტა გამოუჩნდეს.

მისი გრუშე შეიყვარა ქართველმა მაყურებელმა, რომლის თვალწინ იგი, უბრალო ქალიდან დიდი ზნეობრივი სიკეთის გამომხატველ ადამიანად იქცევა.

და განა მარტო ქართველმა მაყურებელმა; მოსკოვში რუსთაველის თეატრის გასტროლების დროს, მოსკოვის თეატრალურმა საზოგადოებამ იზა გიგოშვილს „ქართველი მადონა" უწოდა. ამ წმინდა ბრეხტისეულ სპექტაკლში მაყურებელმა დაინახა ქართველი ქალის ბუნება, კდემამოსილება, სულის სინაზე.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, მოსკოვის სატირის თეატრის მსახიობი გ. მენგლეტი წერს: „განა შეიძლება გულგრილად უყურო და არ თანაუგრძნო გრუშეს და მასთან ერთად არ განიცადო?! ეს მსახიობი უაღრესად მკვეთრი ინდივიდუალობითაა დაჯილდოებული".

ჯერ კიდევ თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში სწავლისას რეჟისორმა მიხეილ თუმანიშვილმა შეუცდომლად აღმოაჩინა იზა გიგოშვილის მკაფიო ინდივიდუალობა და მისი შემოქმედებითი პოტენცია.

და აი, გავიდა ათი წელი, იზა გიგოშვილი ორიგინალური ხელწერის მქონე შემოქმედად ჩამოყალიბდა. ამ ხნის მანძილზე რუსთაველის თეატრის სცენაზე მან არაერთი საინტერესო სახე შექმნა

1974 წელს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ იზა გიგოშვილი დააჯილდოვა პრემიით საუკეთესო აქტიორული ნამუშევრისათვის (ნინა ჩშეგოდევას როლი, დვორეცკის პიესაში „უცხო კაცი".).

მსახიობს თეატრში განსახიერებული როლების გარდა ტელე და კინოეკრანებზე ათამდე როლი აქვს შესრულებული

ამას წინათ რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატიული თეატრის მსახიობს — იზა გიგოშვილს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება.

# სიხარული დაგვებედოთ!

მათი ბიოგრაფია ჩვენი მუშათა კლასის სახელოვანი ახალგაზრდობის ცხოვრების ტიპიური სურათია.

სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების სახარატო უბნის ოსტატმა ბორის ნასარიძემ და მომთუთიებელმა თამარ ტატიაშვილმა ქარხანაში გაიცნეს ერთმანეთი. აქ ჩაეყარა საფუძველი მათ დამეგობრებასა და მტკიცე ოჯახის შექმნას.

თამარი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მივიდა ქარხანაში. ჯერ მამასთან ერთად მუშაობდა 26 კომისრის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში, მერე სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებაში გადავიდა სამუშაოდ.

საქმის მოყვარულმა, გამრჯე და უნარიანმა ქალიშვილმა მალევე დაიმსახურა მთელი კოლექტივის სიყვარული. თამარი საამქროს კომკავშირის ბიუროს წევრად აირჩიეს. აქვე დაეუფლა იგი მომთუთიებლის, მბურღავისა და კონტურების გამომყვანის რთულ პროფესიებს.

თამარ ტატიაშვილი ახლა კომკავშირულ ბრიგადას ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ ვალდებულება აიღო, რომ მეათე ხუთწლედი სამ-ნახევარ წელიწადში შეასრულოს. თამარს გადაწყვეტილი აქვს, 1977 წლის პირადი გეგმა 7 ნოემბრისათვის გაანაღდოს.

არც სახარატო უბნის ოსტატი ბორის ნასარიძე უდებდა ტოლს თავისი ცხოვრების მომავალ თანამგზავრს. წლების მანძილზე მუყაითი შრომით ბორისმაც მოიხვეჭა საერთო მოწონება, სიყვარული და პატივისცემა.

როცა საწარმოო გაერთიანებაში გაიგეს, რომ ბორისი და თამარი უღლდებიანო, ამ ამბავმა მთელი კოლექტივი გაახარა. ასეა, ახალი ოჯახის შექმნა, შრომისმოყვარე, კეთილი და ხალისიანი ახალგაზრდების დაწყვილება ყველას უხარებს გულს.

დაე, ფეხბედნიერად შემობრძანდეს ამ ახალგაზრდების ახლად შექმნილ ოჯახში წელი 1977.

სურათზე: თამარ ტატიაშვილი და ბორის ნასარიძე.



უცნაური მოთხრობა

# ყდაზე დახატული

ნორვეგიელი მწერალი — ფანტასტი რეიდერ იენსენი დაიბადა 1942 წელს. მან ამ ჟანრში მომუშავე ნორვეგიელ ლიტერატორთა კონკურსში 1959 წელს პირველი პრემია მიიღო მოთხრობისათვის „უკანასკნელი ღამე დედამიწაზე".

რეიდერ იენსენი სატირული გროტესკის გამოყენებით თავის ნაწარმოებებში ააშკარავებს ბურჟუაზიული ცხოვრების მახინჯ მხარეებს, მასობრივი ინფორმაციის გამაბრუებელ ზეგავლენას კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

მოთხრობა, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ, ამოღებულია კრებულიდან „მალსტრემი". რუსულ ენაზე ეს მოთხრობა გამოქვეყნდა „ლიტერატურნაია გაზეტაში".

რეიდერ იენსენი

ქუჩაში თოვლის ფანტელები დაფარფატებდნენ, მანქანის ბორბლები კი ამ ფანტელებს ჭუჭყისფერ ფაფად აქცევდა. საყელო ავიწიე და გაზეთის საყიდლად კიოსკისკენ გავემართე. როგორც ყოველთვის, ჟურნალებსაც გადავავლე თვალი. ერთ-ერთის ყდაზე დახატულმა გოგომ თვალი ჩამიკრა, გაიღიმა და ბროლის კბილები გამოაჩინა.

— ძლივს არ მოხვედი! — ჩაილაპარაკა.

თვალები ვჭყიტე.

— სულ შენ გიყურებ, როცა გაზეთისთვის მოდიხარ ხოლმე, — დასძინა მან.

ბედად გაზეთის კიოსკში მომუშავე ქალი სხვა მუშტარს ელაპარაკებოდა.

— ყდაზე დახატულმა გოგოებმა ლაპარაკი არ იციან! — ვთქვი ხმამაღლა.

— მაშ რად ვკიდივარ აქ მთელი დღეები და შენ გელოდები?! — მკითხა გოგომ.

ხმა არ გავეცი. ვინმემ რომ დამინახოს, ვდგევარ აქ და სიცარიელეს ვესაუბრები, არ იფიქრებს, ვიღაცაა გაგიჟდაო!

თუმცა გამვლელები ავტობუსის გაჩერებისკენ მიიჩქარიან, გამყიდველ ქალს კი უკვე საქსოვი უჭირავს ხელში და არ მიყურებს. ალბათ, ჰგონია, ჟურნალებს ვათვალიერებ

— მიყიდე, რა! — ისევ შემევედრა ყდაზე დახატული გოგო.

— აი, ნახე, ფული არა მაქვს, — ჯიბეები გადმოვიბრუნე, — გგონია, იაფი ღირხარ?..

— აქ ყოველდღე მოდის ერთი ყმაწვილი და სულ მე მიყურებს, — ოცნებით თქვა გოგომ, — გუშინ თვალი ჩავუკარი, მაგრამ ვერ შემამჩნია. იქნებ გინდა, მან მიყიდოს?!

მივაჩერდი, ერთხანს ვუცქირე — ლამაზი იყო, ძალიან ლამაზი, ამ კიოსკში ყდაზე დახატულ ყველა გოგოს ჯობდა. ჰოდა, რაკი ისე გავგიჟდი, რომ მეჩვენება, ყდაზე დახატულმა გოგოებმა ლაპარაკი იციან-მეთქი, კიდევ კარგი, რომ ბედმა მაინც უკეთესი მარგუნა..

— ღიპიანი ბებრებიც მოდიან ხოლმე და მე მიცქერიან, — განაგრძო ოხვრით და თვალებში ცრემლი აუციაფდა, — რას იზამ, ყდის გოგოებს ეს დაგვაბედა ღმერთმა, მაგრამ მაინც გული მერევა... ოჰ, როგორ მინდა შენ მიყიდო!

თოთხმეტ კრონზე მეტი, მგონი, არ ეღირება, ამდენს გაწირავს კაცი.

— შეიძლება ხვალ გიყიდო, — ვუთქვი მე, — რა ვქნა, დღეს ამდენი არ წამომიღია.

კიოსკს რომ გავშორდი, მგონი რაღაცას ჩურჩულებდა, სანამ ქუჩის მეორე მხარეს არ გადავედი, მზერა არ მოუცილებია.

მართალია მინდოდა მისი ყიდვა, კიდეც ვაპირებდი ფული წამეღო, ჩემი გულმავიწყობით კი მეორე დღეს კიოსკთან მისულს კრონი და ოცდახუთი ერე აღმომაჩნდა მხოლოდ. მაგრამ ვიტრინაში იგი აღარ ეკიდა. მისი ადგილი ქათქათა ბლუზიან ლამაზ, შავთმიან გოგოს დაეჭირა.

— გეთაყვა, მე. მინდა... — დავიწყე მე.

— სამწუხაროდ, გუშინ უკანასკნელი ცალი გავყიდეთ, — მითხრა გამყიდველმა ქალმა, — მაგრამ სხვა ჟუნალებიც გვაქვს!

თავი გავაქნიე.

— არა, ისევ გაზეთს ვიყიდი...

მე რომ გამოვტრიალდი იმ შავთმიანმა გოგომ მართლა ჩაიღიმა, თუ მომეჩვენა?!

ნეტავი ვინ იყიდა ის ბროლისკბილება გოგო? იმან ხომ არა, ვისაც თვალი ჩაუკრა? თუმცა სულ ერთია, ვინც იყიდა, თუკი გაქრა და მისმა გაქრობამ ცოტა არ იყოს გული დამწყვიტა. როგორც მეცნიერს, მუდამ მიტაცებს ყოველივე უჩვეულო, ეს კი, ასე ვთქვათ, ფრიად თავისებური ამბავი გახლდათ.

გავიდა რამდენიმე კვირა, ერთ დღეს ისევ იმ კიოსკთან გავჩნდი, თითქმის გადამავიწყდა კიდეც ყდაზე დახატული გოგო.

— გამარჯობა! — ჩამესმა უცებ ნიავივით.

თავი ავიღე... ყდიდან წყვილი შავი თვალი მომჩერებოდა, გოგოს ქათქათა ბლუზა ეცვა.

— არ მითხრა ახლა, ყველამ ენა ამოვიდგითო, — ჩავილაპარაკე მე.

პასუხი ცოტა შეაგვიანა, ბლუზა გაისწორა და გოროზად შემომხედა.

— მე მართლა მინდოდა მისი ყიდვა...

— როცა იმ მეორემ წაიღო, სულ ტიროდა, — წაიჩურჩულა შავთმიანმა.

— ყდის გოგოები არ განიცდიან. თუმცა მე იგი მომწონდა და კიდეც ვაპირებდი ყიდვას.

— რა იმედი ჰქონდა შენი! — განაგრძობდა შავთმიანი, — მგონი, კარგად არ მოიქეცი.

— კარგი ერთი, მითხარი ვინ იყიდა? იქნებ შევძლო ცოტა ხნით გამოვართვა იმ კაცს და მერე აღარ დავუბრუნებ, ვითომ დამავიწყდა! ამით მაინც გამოვისყიდი ჩემს დანაშაულს, ჰა? — ვკითხე მე.

—ვერაფერსაც ვერ გამოისყიდი, — მითხრა შავთმიანმა გოგომ, — მე ის კაცი წინათ არ მინახავს. მანქანით მოგრიალდა. ისე რომ, თავის დღეში ვეღარ იხილავ, აბა, ვნახოთ, თუ არ ინანებ!

— მაშ, შენ გიყიდი, ენას მოვიქავებ შენთან ლაქლაქით.

— არც იფიქრო, თუ მიყიდე, იცოდე, თავის დღეში ხმას არ გაგცემ. ქაღალდილა შეგრჩები ხელში!

ერთი კვირის შემდეგ ისევ მოვხვდი იმ კიოსკთან. მთელი ის დღეები დიდი გაწამაწია გვქონდა ჩემს ლაბორატორიაში. ძილის დროც კი არ მქონდა, სულ ქიმიურ ფორმულებს ჩავკირკიტებდი. ჩემი სიცოცხლე მეცნიერებაა! მივუძღვენი. გული მითქვამდა, საცაა დიდებას მოვიპოვებ-მეთქი... ჩვეულებრივ ვიყიდე გაზეთი და უცებ ვიღაცის დაჟინებული მზერა ვიგრძენი.

ამჯერად იგი არ იყო მომხიბლავი გოგო. ერთკვირეულის ყდიდან დიახაც გოროზად მიყურებდა ერთი ხნიერი მანდილოსანი, მგონი, ევროპის რომელიღაც დიდებული გვარის ნაშიერი.

— არ გრცხვენია, ყმაწვილო?! — მკითხა მან. — როგორ მოატყუეთ ის მშვენიერი გოგონა...

თვალით მოვძებნე ჩემი ძველი ნაცნობი, ლამაზი შავთმიანი გოგო, მაგრამ იგი სადღაც გამქრალიყო.

— თანაც გაუზრდელი ყოფილხართ, — დაუმატა დიდგვაროვანმა მანდილოსანმა და ამრეზით შემხედა, — თქვენ რას იტყვით, ადმირალო?!

ფრიად მრისხანე იერის მქონე ადმირალი მეორე ჟურნალის ყდაზე ეხატა.

— შენ რა ღირსი ხარ, ქალებმა თავი გაგიყადრონ, — გადმომხედა მან და თავისთვის ჩაიბურდღუნა.

— რას მიბრძანებთ? — მკითხა გამყიდველმა ქალმა.

— არაფერი, ჟურნალებს ვათვალიერებ, — ვუპასუხე და უკანმოუხედავად მოვკურცხლე.

...მთელი კვირა თავი არ ამიღია, სულ ქიმიურ ფორმულებს ჩავკირკიტებდი. ისე, რომ ლაბორატორიის გამგემაც კი მხარზე დამკრა ხელი.

— შენისთანა ბეჯითი თანამშრომელი ჯერ არ მყოლია, მაგრამ ცოტა უნდა დაიმუხრუჭო თავი. აბა, გასწი შინ და დაისვენე. კოვბოელების რომანი იყიდე და წაიკითხე, ცოტა მაინც გაერთობი, — მითხრა და ჩემი გაძალიანების მიუხედავად, გარეთ გამომსვა.

დამშვიდობებისას დირექტორმა და მას ღიმილი მაჩუქეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა




— ასე თუ განაგრძეთ, ხელფასს მოგიმატებთ! — მოწყალედ გამოსცრა დირექტორმა.

თოვლი კი ცვიოდა და ცვიოდა. საცაა შობაც დადგებოდა. იქნებ ჯობს, მართლა დავისვენო? შევალ მაღაზიაში და ვიყიდი კოვბოელების რომანს. მართალი გითხრათ, სკოლის შემდეგ არც წამიკითხავს ისინი. ან რისი უნდა მეშინოდეს — იმ კიოსკშია ყდის სურათებმა სული რომ შემიწუხეს, თორემ სხვაგან არავინ მერჩის.

მაღაზიაში იმ თაროსთან გავჩერდი, სადაც პატარა, ჯიბეში ჩასადები წიგნები იყო გამოფენილი.

— ლამაზო! — ჩამესმა ანაზდად.

შევკრთი.

— ისროლე, თორემ გაგათავე! — ჩამესმა ყურში ახლა ჩახრინწული ხმა.

მივტრიალ-მოვტრიალდი, ხან შავ ჯინსში გამოკვართულ, ქერა განგსტერ ქალს მივაჩერდი, ხან წვერგაჩეჩილ მაწანწალას, დამბაჩას რომ მიმიზნებდა. არა, მართლა ცუდადაა ჩემი საქმე... იქნებ ჯობს, ქარხნის ექიმს მივაკითხო?!

— ჰაი, შე წვერიანო ნაძირალავ, — რიხიანად გავძახე მე, — ჩემთან რა საქმე გაქვს, რას გადამეკიდე იმ გოგოს გამო! თანაც უკვე მოდაში აღარ ხარ. ახლა ჯაშუშების ამბებს კითხულობს ხალხი.

— შენ ვინა გდიხარ? — შემომიღრინა მან, — ფეხებზე არ მკიდია შენი ხრიკები. ეს ჩემი სამფლობელოა და აქედან მოუსვი, სანამ არ დაულეწიხარ და შენ და შენი ნათესავები ტყვიებით არ დაუტენიხარ!

— აი ლავ იუ! — ჩამილაპარაკა ქერა განგსტერმა ქალმა და ვნებიანად შემომხედა. მისი ჟურნალი სამნახევარი კრონი ღირდა.

— მაგას ეს ბიჭი რაღაცა ჰგონია, — ჩაულაპარაკეს ერთმანეთს საყმაწვილო ჟურნალების ყდის გოგოებმა გულდაგულ რომ ღეჭავდნენ რეზინს, — ის კი არ იცის, ჯიბეში გროში არ უჭყავის!

— ისროლე, თორემ გაგათავე! — ხელახლა იბღავლა კოვბოელმა და დამბაჩა ასწია.

ამის შემდეგ მთელი ორი დღე შინიდან ფეხი არ გამიდგამს. დიასახლისმა საკითხავად რამდენიმე ერთკვირეული რომ შემომთავაზა, ზრდილად, მაგრამ ცივად ვტკიცე უარი.

— მადლობელი გახლავართ, ჩემთვის გაზეთებიც საკმარისია!

შობამ ჩაიარა. მე მშობლებთან ვისვენებდი იმ დღეებში, ვკითხულობდი უყდო რომანებსა და ვიზეპირებდი ქიმიურ ფორმულებს. ნაახალწლევს უკან გამოვემგზავრე, ისევ ჩემს ცდებს რომ დავბრუნებოდი. ერთ დღეს მაინც გავრისკე და ჩემი ჩვეულებრივი საკითხავი გაზეთი ვიყიდე ძეხვეულის დუქანში. ვიყიდე და კარგი დღეც დამადგა.

— შენთან წამიყვანე! მათრახი მირტყი, გინდაც სულ ამიჭრელე ტანი! — შემომღაღადა დეტექტიური ჟურნალის ყდიდან ქალმა, ტყავის მაღალი ჩექმები რომ ეცვა და უაზროდ დაეცეცებინა თვალები.

— ახია შენზე, კაცმა ნაწლავები გამოგიფუშოს! — ჩაგვერია ხაუბარში მეორე დეტექტივის ყდის კაცი. იგი იდგა და ვიღაც გოგოს თოკით ჰკრავდა, პირში კი ბურთს ჩრიდა. კიდევ კარგი, ის მაინც ვეღარაფერს მეტყოდა. კაცმა თავი ასწია და დასისხლიანებული თვალებით მომაჩერდა:

— თოკზე ჩამოსაკიდებელ კატას დამსგავსებიხარ, შე უბედურო. ვინ იცის კომუნისტიც ბრძანდები? არაფერი მინდა, ჩვენთან მოხვდე, მაგ ლენჩ ღიმილს დაგავიწყებდით...

— მადლობას მოგახსენებთ, — შევღრინე მე, — ოღონდაც სხვა ვინმე მოძებნე... ვინც ორ კრონს გაიმეტებს შენს საყიდლად!

კარისაკენ რომ გავქანდი, უკან დამბაჩამ იჭექა. მეძეხვემ გაკვირვებით ასწია თავი. შემდეგ წავიკითხე, შემთხვევის ადგილზე პოლიცია მოსულიყო, მაგრამ ვერაფერი ვერ ენახათ.

გადავათვალიერე ნაყიდი გაზეთები, მაგრამ იქიდან არავინ გამომელაპარაკებია. ვიფიქრე, ჰალუცინაციებისგან განვიკურნე-მეთქი. ალბათ, დასვენება არ მავნებდა, როგორც ქარხნის ექიმმა მითხრა უკანასკნელი ნახვისას. გადავწყვიტე, ხელახლა მივსულიყავი ექიმთან და ჩემი უბედურება მეთქვა.

ვაი, რომ მეორე დღეს აღარც გამხსენებია ჩემი ეს განზრახვა. ჩვენმა ქიმიურმა ცდებმა საინტერესო შედეგები გამოიღო, მოხედვაც ვერ მოვასწარი, ისე გახდა სამი საათი, ქარხნის ექიმი უკვე წასული დამხვდა.

საათის ოთხი იქნებოდა სასადილოდ რომ გავწიე. გზაში ხელდახელ ვიყიდე გაზეთი, მაგრამ ორი-სამი მტრული მზერა რომ დავიჭირე, ნაბიჯი ავაჩქარე და ბრბოს შევერიე.

ამ კაფეში ვსადილობდი მუდამ. მაგიდას მივუჯექი და გაზეთს დავხედე.

— სად ბრძანდებოდი, სახლი რომ დამეწვა? — გაისმა ხმა, — რომ გამოჭიმულხარ მანდ, თითი ვერ გაანძრიე ჩემი გულისთვის?!

შემკრთალმა დავხედე და ფერმერის მზერას შევეფეთე. იგი თავისი გადამწვარი სახლის წინ გაუბედურებული იდგა.

— რახან პირისპირ შევხვდით ერთმანეთს, იმედია, ჩვენი პარტია გაგახსენდებათ. მხოლოდ ჩვენი პარტია იბრძვის რომ მარტოხელებს ბინების ასაშენებლად დახმარება მიეცეს. ვიცი, რა უტვინო ვიღაც ბრძანდები, მაგრამ ჩემი სიტყვები მაინც გულზე უნდა მოგხვდეს! — ჩამესმა ახლა სხვა ხმა. პოლიტიკური მოღვაწე ჯიქურ შემომყურებდა. გაზეთი ხელიდან გამივარდა.

— ნუ შეწუხდებით, დესერტი აღარ მინდა! — მივაძახე ოფიციანტ ქალს და კარისკენ გავქანდი.

ექიმმა გამსინჯა და მითხრა, ძალზე გადაღლილი ხარო. მერე რაღაც აბები მომცა და ავადმყოფობის ფურცელიც გამიხსნა.

— ნერვების მოშლილობა ჩვენს დროში საკმაოდ გავრცელებული გახლავთ, — თქვა მან, — მაგრამ ნუ გეშინიათ, მალე ჩიტივით იქნებით!

ექიმი მართლი გამოდგა. ორიოდე კვირის შემდეგ მართლა ჩიტივით ვიყავი, გამოვკეთდი და დავმშვიდდი. უფრო მეტიც, რამდენჯერმე შევიარე თამბაქოს დუქანში და თაროზე ჩამწკრივებული ჟურნალები გულდასმით გადავათვალიერე. ღმერთმანი, არ უმოქმედნია.

თებერვლის შუა რიცხვებში, როგორც იყო, მოვრჩი ჩვენს ცდებსა და გამოკვლევებს. წარმოებამ პრესკონფერენცია მოაწყო.

მოიწვიეს გაზეთებიდან, რადიოდან და ტელევიზიიდან ხალხი. ლაბორატორიის გამგემ სიტყვა წარმოთქვა. მეტადრე მე მაქო და მადიდა, ნიჭიერი ქიმიკოსიაო, — თქვა ჩემზე, მისი ცდების წყალობით ქიმიურ წარმოებაში გაცილებით გამარტივდა მთელი რიგი პროცესები, ისე რომ, ამიერიდან ქარხანა თავისი ნაწარმის გამოშვებას უფრო გაზრდისო.

— მეც სიხარულით მოგართმევ ქვითარს ნიჭიერ ახალგაზრდა მკვლევარს იმის დასტურსაყოფად, რაოდენ აფასებს მას ჩვენი წარმოება! — ბრძანა დირექტორმა და მხარზე დამკრა ხელი.

იელვა ფოტოაპარატთა კაშკაშა შუქმა. იყო ერთი მილოცვები, სადღეგრძელოები, შამპანური, ჭიქების ჭახუნი. იმ საღამოს ფრიად კმაყოფილს დამეძინა.

დილით გამეღვიძა და ვიგრძენი, თითქოს შებოჭილი ვარ, თავზე ჩარჩო მაქვს შემოვლებული, ფეხები აღარ მაქვს. დავიხედე, სადღაა ჩემი ქვედატანი — სადღაც გამქრალა.

მაშინ იცოცხლე, თვალები ვჭყიტე და რას ვხედავ! თურმე გაზეთის კიოსკში ვკიდივარ, სწორედ იმ კიოსკში, სადაც პირველად ყდაზე დახატული გოგო გამომელაპარაკა.

— დილა მშვიდობისა! — მომესმა ქვევიდან.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენთან! — ჩამომძახეს ზევიდან, — შენც ხომ გამოგჭიმეს ყდაზე!

— რა გუნებაზე ხარ ახლა? — ჩამესმა ვიღაც ყმაწვილის ხმა გვერდით, — ასე ბევრს გავუკეთეთ. საგანგებო კამერა, ჩხიკ და სურათი მზად არის. მორჩა, გამოსული ხარ უკვე თამაშიდან. გგონია, ვინმე იყიდის შენს სურათიან გაზეთს? არც იფიქრო! აქ ეკიდები, სანამ მაკულატურაში არ გიკრავენ თავს, ან თვითონ არ მოახერხებ და არ აყიდვინებ თავს ვინმეს! ოღონდ ამ ხერხის შესწავლას მთელი ერთი კვირა უნდა.

პირი დავაღე, რაღაც რომ მეთქვა, მაგრამ კრინტი ვეღარ დავძარი.

ამ დროს კიოსკს გაზეთის საყიდლად ერთი გოგო მოადგა.

— მიყიდე რა! — შევევედრე მე.

*თარგმნა ამირან გაბესკირიამ*

# ახალი ლექსები

## გივი ალხაზიშვილი

### უსათაურო ლექსები

* * *

ზღვის სანაპირო, თურქული ყავა,
ევკალიპტები,
  ვუმზერ თოლიებს...
გუშინ სხვა ვიყავ,
დღეს თითქოს სხვა ვარ.
შენზე ფიქრებმა ამიყოლიეს.

გადავაგორე დარდის დოლაბი,
მარად მბრუნავი და დამღუპველი
და მეჩვენება ქარს ზღვით მონაბერს
სადღაც მივყავარ, როგორც ღრუბელი.

* * *

ხმელი ბალახის სურნელით, ჩქამით
გაჟღენთილია შენი ჩურჩული,
ისე ცახცახებ წვდიადში ღამის,
როგორც ფრინველი ფრთაშერუჯული.

უძვირფასესის დაკარგვის შიში,
თითქოს იმ ბნელი ბაღიდან მოდის,
მოდის და მოაქვს შრიალი ქვიშის
და მაგნოლიის მფეთქავი ტოტი.

ფერადი სიზმრის ბავშვივით მჯერა,
როდესაც ღამის ხმები ჰყვებიან,
გამოველ გარეთ, დაღლილი მზერა
ისრუტავს ზეცას ვარსკვლავებიანს.

* * *

სახლს უხარია ბავშვების ფშვინვა
და უეცარი შრიალი რტოთა.
მადლობა უფალს, მე ისევ შინ ვარ,
არ მახსენდები და აღარ ვშფოთავ.

თითქოს ამ ჭერქვეშ ვცხოვრობდი მარად
და სხვაგან წამით ვიყავი მხოლოდ,
ისევ სახლში ვარ,
  აღარ ქრის ქარი,
ვწევარ და ვუსმენ ვარსკვლავთა ქოროს.

* * *

დაიმშვენებ უნაბისფერ კაბას,
იმერეთში უნაბი რომ მწიფს,
თვალნი შენნი მიამბობენ ზღაპარს —
შემოდგომის უნაპირო ცის.

ტაძრის კედელს ამშვენებდა ეს ქვა,
შენ რომ ზიხარ ნებიერად ახლა,
გელათიდან გაპარულო ფრესკავ,
რას უცქერი ვარსკვლავებზე მაღლა?!

* * *

მადლობა უფალს — მშვიდობით მოხველ,
რას გიშველიდა მწარე აბები.
ნოემბრის თბილისს მხარზე ხელს
  მოჰხვევ
და ძველებურად გაინაბები.

რა შეიცვალა? — ათასი რამე,
მხოლოდ ტკივილი დარჩა უცვლელი
და სატკივარზე დღისით და ღამით
შრიალ-შრიალით ცვივა ფურცელი.

---

## გივი თათეიშვილი

### დილით როცა...

შოთა ნიშნიანიძეს

ცვრიან ბალახს მთვარე ლოკავს,
ღამეს ძინავს შავი ნაბდით.
ჭადის შუქზე გეწვის ლოყა,
სტრიქონს დამწვრის სუნი ასდის.
და ატომის ნამცეცივით,
ფურცელს სცვივა წუთი ცრემლად.
გულის ძარღვზე აჩეხილი
სხეულს ლექსი გაექცევა,
გადაიარს მთას და ველებს,
ღრუბლის ტივზე მთვარეს დასვამს
და ჩაგიყრის საფერფლეში
ნისლისა და ლექსის ნამწვავს
გადახედავ თბილის-ქალაქს,
მტანჯველ ღამის გადამკიდე,
ხელს მოხვევ და... ალალ ღიმილს
ხურჯინივით გადაკიდებ.

### შემოდგომა

ქარი თეთრ ფრთებს აშრიალებს.
მწვანე ფოთლის ნაბდიანებს
  ეცინებათ მუხებს.
ღრუბელმა მთა გადიარა,
  გაიზმორა მადიანად,
  არ ეძინა წუხელ.
ღობის იქით, — ეზო, ეზო,
  ქვევრებს ალბათ მუხლი ეღძოთ,
  ჩაჩოქილებს ვხედავ.
— გამარჯობა, მეზობელო!
  — გაგიმარჯოს, მეზობელო!
ერთი აქეთ გადმომხედე,
  საქმე მაქვსო შენთან.
და ქვევრების გადაძახილს
  ისმენს ვაზი,
    მწვანე ძარღვი
უტოკდება შიშით...

თეთრი ნისლის ნაბდიანებს
  მუხებს,
    მგზავრებს ნაგვიანებს,
ეჩქარებათ ლხინში.

### განთიადი კახეთში

რევაზ ინანიშვილს

შინაგან ძალთა აფეთქებები,
ასე მგონია ცას გულს მიადნობს...
ცისკრის ვარსკვლავთა
  სხივთა შხეფები,
მკერდზე მეღვრება საგანთიადოდ.
და გული ითხოვს
დილა ადრიან
ჩაჟამულ ქედებს
  ვუცვალო ფერი.
ლექსმა პერანგი შემომახია
და... კახის ქვევრებს
  გამოჭრა ყელი.

---

## მირანგულ ავსაჯანიშვილი

### გახსენება

ზეცა გაღვივდა ნაკვერჩხალივით,
გრგვინვამ უნდილი ბინდი დაფლითა,
ღამემ შებღავლა დაჭრილ ხარივით,
დაელვებულმა მწუხრში ჩათვლიმა.

მეხმა დაღადრა ღრუბლების ფარდა,
სივრცეს დაუჭდო ფლოქვების კვალი.
ყრმობის ნანატრი ოცნება ახდა,
ლექსთა მარულას შეესწრო თვალი.

ფიქრებს დაენთო მზის ლამპიონი,
აზრთა სადავეს ღმერთკაცი ფლობდა.
და ბობოქარი გალაკტიონი
ლურჯა ცხენებით ცას მიაპობდა.

### მაინც გაგაბი...

მთვარე ჩაეშვა მდინარის ჩქერში
თან გაიყოლა მნათი ფარანი,
ვავედრი ზვირთებს რომ არ აიმღვრეს,
არ დამიშლამოს შენი დარანი.

ამაოდ დაშვრა გული მშფოთვარე,
არსით ეპკურა ღვთის აიაზმა.
ჩემი ლექსების არმადა მოგდევს,
დარანთან ახლოს წრედ დაირაზმა.

რაღაც ფაჩუნი ჩაესმა სმენას
და ალალბედზე ვისროლე ბადე,
აგაფართხალე ჩქერში კალმახი,
თუმცა გაქცევა მრავალჯერ სცადე.

### მე შენი მწამს და მე შენი მჯერა

ქარი მშფოთვარე ჩემს ფიქრებს ათრობს,
გაფითრებული ელის ალიონს,
წუთები მიდის კუს ნაბიჯებით,
ჯიბრზე არა სურს ღამე გალიოს.

არსით თენდება, თუმც კი ნათდება,
ღამე თეთრდება და მაინც ბნელა,
ცისკრის ვარსკვლავი ჩურჩულით გაწვდის
„მას შენი სწამს და მას შენი სჯერა“.

რაყიფმა მთვარემ ქორის თვალებით
ეულ წიწილას დაგტყორცნა მზერა,
ნისლებმა ეჭვით გადაიარა,
ჩურჩულით უთხრა—„მას მისი სჯერა“...

არ ვიცი ვის და არ ვიცი რატომ,
მე შენი მწამს და, მე შენი მჯერა...

2063

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხელ-ცხელი ამბები

### პირის ჩასაკოკლოზინებლად

ეს კურიოზული შემთხვევა ყალმუხეთის ასს რესპუბლიკაში მოხდა.

ელისტა-იაშკულის გზაზე მდებარე ერთ-ერთი ფერმიდან ამას წინათ ინდაურები დაიკარგნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ მონადირეები ტყეში შემთხვევით წააწყდნენ დაკარგულ ინდაურებს. ისინი არხეინად წიწკნიდნენ ბალახს. შორიახლო კი ჩასუქებული მელია წამოწოლილიყო და ინდაურებს მწყემსავდა.

ფერმიდან გარეკილ ინდაურებს დაფიქრებული მელია თურმე ნელნელა იზოგავდა პირის ჩასაკოკლოზინებლად.

### 11 ათასი კილომეტრი

რიგაში მცხოვრებმა გ. ბუშუევმა, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ მწვავე ინფარქტი გადაიტანა, გადაწყვიტა ფეხით წასულიყო... ვლადივოსტოკში. 11 ათასი კილომეტრის გავლას მან 8 თვე მოანდომა.

ფეხით სიარულმა ისეთი კეთილისმყოფელი გავლენა იქონია მის ჯანმრთელობაზე, რომ გ. ბუშუევმა ამას წინათ განიზრახა ფეხით მოიაროს ადგილები, სადაც სამამულო ომის დროს იბრძოდა.

### ურიგო არ იქნება

ლენინგრადის რესტორან „ნევაში" საფუძველი ჩაეყარა კარგ წამოწყებას, რომელსაც მოსახლეობამ „სასწრაფო კულინარული დახმარება" შეარქვა.

ტელეფონით დარეკვისთანავე, გამოცდილი შეფ-მზარეულები მზად არიან დეტალურად აგიხსნან როგორ უნდა დაამზადოთ ესა თუ ის კერძი, რა სახისა და რა რაოდენობის პროდუქტებია საჭირო ამა თუ იმ დელიკატესის მოსამზადებლად, როგორ უნდა დააყენოთ სხვადასხვა ნაყენი, როგორც უნდა შეაზავოთ საწებლები...

ურიგო არ იქნება, რომ ასეთი წამოწყება ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებშიც დაინერგოს.

### ინა და ბასმა

საქართველოში ამ რამდენიმე ხნის წინათ საფუძველი ჩაეყარა პლანტაციას, რომელშიც ინისა და ბასმის მოსაღებ მცენარეებს აშენებენ.

პირველი მოსავლიდან უკვე მიიღეს მდგრადი საღებავები ინა და ბასმა.

საქართველოში დამზადებული ძვირფასი საღებავები მალე დიდ გამოყენებას ჰპოვებს ჩვენი ქვეყნის საფეიქრო მრეწველობაში და კოსმეტიკაში.

## როგორ მიაგნეს პიკასოს სურათებს

როგორც ცნობილია, შარშან ავინიონის პაპის სასახლიდან გატაცებულ იქნა პაბლო პიკასოს 118 სურათი. რვა თვის ძებნის შემდეგ მარსელის პოლიციას ხელში ჩაუვარდა შვიდი ექვმიტანილი დამნაშავე — ხუთი ფრანგი, ერთი ბელგიელი და ერთი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქე.

მათ დათქმული ჰქონდათ მარსელის სენ-ვინსენ-დე-პოლის ეკლესიასთან შეხვედროდნენ „მყიდველს" და 30 მილიონ ფრანკად (100 ფრანგული ფრანკი 15 მანეთს უდრის) გადაეცათ მისთვის პიკასოს სურათები, რომლებიც ავტოფურგონ „რენოში" ჰქონდათ შენახული. როდესაც „მყიდველის" ნაცვლად პოლიციელები გამოჩნდნენ, ბანდის ერთ-ერთმა წევრმა გაისროლა, მაგრამ ააცდინა. ბანდის წევრი დააპატიმრეს, მან ვენები გადაიჭრა; იგი საავადმყოფოში გაგზავნეს. მეორე დამნაშავემ — ანტვერპენელმა თეოდორუს ტიმერსმა ვერ გაუძლო დაკითხვას და გარდაიცვალა.

როგორც ვარაუდობენ, ბანდის მეთაური იყო ფრანგი გაბრიელ კარკასონი. დაკავებულია აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქე ჰაინც ტილმანსი, რომელიც მანამდე პიკასოს მოპარული სურათების გაყიდვის მცდელობაში იყო შემჩნეული.

სურათებისა და მძარცველების ძებნა რვა თვეს გრძელდებოდა სხვადასხვა ქვეყანაში. ერთ-ერთმა პიროვნებამ, რომელსაც შესთავაზეს ეყიდა მოპარული სურათები, ნიდერლანდიის პოლიციას აცნობა ყოველივე. კვალს გაჰყვა საფრანგეთის პოლიცია და ინტერპოლის (კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია) დახმარებით, მართალია, მაშინვე ვერ მიაგნო სურათების ადგილსამყოფელს, მაგრამ დაადგინა რამდენიმე კაცი, რომლებზეც ეჭვი მიიტანეს, რომ ავინიონში მომხდარ გაძარცვაში მონაწილეობდნენ.

პოლიციელებმა თამაშში ჩართეს თავიანთი კაცი „მოსიე მატიე". ამ უკანასკნელმა, რომელიც საუცხოოდ ფლობდა რამდენიმე უცხო ენას, ანტიკვარად და ერთ-ერთი ცნობილი ბრაზილიელი კოლექციონერის ნდობით აღჭურვილ პირად გაასაღა თავი. მოლაპარაკება აუჩქარებლად მიმდინარეობდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს „მოსიე მატიემ" შეძლო ნდობის მოპოვება. ოქტომბრის პირველ ოთხშაბათს დღის ოთხ საათზე იგი ტიმერსსა და ბანდის ერთ-ერთ წევრს შეხვდა მარსელის მთავარ ქუჩა კანებიერზე ბანკ „კრედი ლიონეს" ფილიალის შესასვლელთან. „მყიდველმა" ბოროტმოქმედთ გადასცა 30 მილიონიანი თანხის ნაწილი. დანარჩენი კი სურათების მიღებისთანავე უნდა ჩაებარებინა საღამოს სენ-ვინსენ-დე-პოლის ეკლესიასთან.

სწორედ ამ ადგილზე მოვიდა ავტოფურგონი, რომელიც, როგორც შემდეგ გაირკვა, დაექირავებინათ. „მოსიე მატიე" და მისი თანმხლები პირი, რომელიც მან ექსპერტად გააცნო, „საქონლის" გასინჯვას შეუდგნენ, ამ დროს მათ თავზე წაადგათ პოლიცია.

ფარული მონაწილენი — კარკასონი და ტილმანსი მანამდე დააპატიმრეს ნავსადგურის სასტუმრო „ჟაკ ბორელში", მაგრამ ეკლესიასთან, სადაც ავტოფურგონში მყოფ სამ კაცთან ერთად კიდევ ორი „მეთვალყურე" უნდა შეეპყროთ, ოპერაციას მთლად შეუფერხებლად არ ჩაუვლია. ერთ-ერთმა „მეთვალყურემ", რომლის ვინაობა დღემდე გაურკვეველია, გაისროლა, შემდეგ გაუჩინარდა და სრულიად შემთხვევით ჩაუვარდა ხელში პოლიციელს, რომელსაც საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა ოპერაციაში.

საფრანგეთის პოლიციას, ეტყობა, ამ საქმეში კვლავ შემთხვევის იმედი აქვს. მართალია, პიკასოს სურათები იპოვნეს, მაგრამ დანაშაულის მთლად გახსნაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ფორმალურად დაკავებული არიან მხოლოდ „გამყიდველები", გაურკვეველია, მონაწილეობდნენ თუ არა ისინი ავინიონში მომხდარ გაძარცვაში და ვისი დავალებით მოქმედებდნენ. დაპატიმრებულნი კი სდუმან.

## თეატრალური მოთხრობა

### სასეირო სანახაობა



მაშინ სოხუმის თეატრში ვმუშაობდი. თეატრის მესვეურნი დიდ ყურადღებას იჩენდენ ჩვენდამი და ნაყოფიერი შრომის პირობებს გვიქმნიდნენ, ხშირად გვანებივრებდნენ კიდეც. მაგრამ თეატრი მაინც თეატრია და იგი მოვალეა წარმოდგენები უჩვენოს მაყურებელს; გეგმაც გეგმაა და სოხუმის თეატრსაც ჰქონდა თავისი გეგმა — იგი მთელ აფხაზეთს ემსახურებოდა და ხშირად იმართებოდა გასვლითი სპექტაკლები.

...ახალი წელი ისე მოახლოვდა, რომ დაგვრჩა გაგრის რაიონის ერთი სოფელი, სადაც ვერ ვუჩვენეთ გეგმით გათვალისწინებული წარმოდგენა. და აი, 31 დეკემბერს (იმ წლის გეგმაში რომ შესულიყო), საღამოს 6 საათზე (იმ ვარაუდით, რომ საახალწლოდ სოხუმში ჩამოვბრუნებულიყავით), სოფლის საკოლმეურნეო კლუბში კიტა ბუაჩიძის პიესა „ფაქიზი განცდები" დაინიშნა.

დღის 4 საათზე ჩვენი ავტობუსი სოფლისაკენ დაიძრა. ჩვენი მეგზური იქაური კლუბის გამგე იყო. ვიწრო და ტალახიან გზაზე მანქანა ნელ-ნელა, ფრთხილად მიიზლაზნებოდა. 6 საათზე ჯერ კიდევ გზაში ვიყავით. ჩამოღამდა, მეგზურმა „დაგვამშვიდა", ჯერ ნახევარი გზა დაგვრჩაო. რაღას ვიზამდით, ბედს შერიგებული უხალისოდ მივყვებოდით აღმართს. უცებ ავტობუსი შეინჯღრა და შედგა. მძღოლმა, თუ არ ვცდები, აფხაზურ ენაზე მაგრად შეიკურთხა და ბენზინი გა-

## ერთ უჩვეულო გამოფენაზე

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენი საზოგადოებრიობა ერთი უჩვეულო გამოფენის მოწმე გახდა — საქართველოს ხელოვნების მუზეუმში მოეწყო მოქანდაკე ლამარა ქველიძის მიერ შექმნილი მხატვრული მედლების ექსპოზიცია. თითქოსდა აქ უჩვეულო არაფერია, ჩვენს დედაქალაქში ხშირად ეწყობა ცალკეულ შემოქმედთა პერსონალური გამოფენები. მაგრამ მოქანდაკე ქალის მხატვრული პროდუქციის დემონსტრაცია იმით იყო საინტერესო, რომ ასეთი სახის გამოფენა პირველად მოეწყო ჩვენს რესპუბლიკაში.

ლამარა ქველიძის მიერ ამ ბოლო წლებში შექმნილი 500-ზე მეტი ნამუშევრიდან გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სულ 125 მედალი, მაგრამ ესეც საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ხელოვნების მოყვარულნი მოხიბლულიყვნენ ავტორის მაღალი ოსტატობითა და ნატიფი გემოვნებით. წარმოდგენილმა ექსპონატებმა ნათელყვეს, რომ ქართული სახვითი ხელოვნება გამდიდრდა კიდევ ერთი დარგით, რომ მას განვითარების მკვიდრი საფუძველი შეუქმნა ლ. ქველიძის შემოქმედებამ.

# ცხელ-ცხელი ამბები

## სამკურნალო სათამაშოები

უკრაინელმა სპეციალისტებმა სტომატოლოგებისათვის, რომლებიც ბავშვებს მკურნალობენ, მეტად ორიგინალური სამედიცინო ინსტრუმენტები დაამზადეს.

დიაგნოსტიკისათვის, პროფილაქტიკისა და სხვა სამკურნალო დანიშნულებისათვის გამიზნულ ინსტრუმენტებს სხვადასხვა სათამაშოების ფორმა აქვთ. ამ „სათამაშოების“ დანახვისთანავე ბავშვები მშვიდდებიან, ხალისდებიან და თავისუფლად ემორჩილებიან სტომატოლოგებს.

## სამრეწველო ნარჩენებისაგან

მოსკოველმა სპეციალისტებმა სხვადასხვა სამრეწველო ნარჩენებისაგან დაამზადეს დეკორატიული ფილები, რომლებიც წარმატებით ენაცვლება ასფალტს.

ახალი ფილები ასფალტთან შედარებით ათჯერ უფრო გამძლეა და შედარებით იაფი ჯდება.

სხვადასხვა ფერის ლამაზი ფილებით მოსკოვში უკვე დაიწყეს ტროტუარების მოპირკეთება.

## საინტერესო სიახლე

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაამზადეს ლუდისა და ლიმონათის ორიგინალური ბოთლები, რომლებიც მაცივრის დანიშნულებასაც ასრულებენ.

ჭურჭელზე დამონტაჟებულია კაფსულიანი მოწყობილობა. საკმარისია გატეხოთ ეს კაფსული, რომ ჭურჭელში ჩასხმული სითხე სწრაფად დაიწყებს გაციებას.

ფირმა „ჩილ კან ინდასტრიზი“ სხვადასხვა სასმისებისათვის, უახლოეს ხანში დიდი რაოდენობით გამოუშვებს ასეთ ბოთლებს.

## სამი ათასი წლის წინათ

მოძმე ყაზახეთში არქეოლოგებმა ამას წინათ მიაკვლიეს ოხიცკის სამარხში დაკრძალულ მეომარს, რომელსაც სხვადასხვა ძვირფასი საოჯახო ნივთები და იარაღი ჰქონდა ჩატანებული.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ეს მეომარი 25 საუკუნის წინათ იყო დაკრძალული.

სამხრეთ ყაზახეთში აღმოაჩინეს პიტალო კლდეზე ოსტატურად შესრულებული ნახატები. ადამიანთა უძველესი ყოფის ამსახველი ამ უნიკალური ნახატების ხნოვანება 3 ათასი წლით თარიღდება.

---

თავდაო, გვამცნო. მოდი და გულზე ნუ გასკდები — კიდევ რამდენიმე საათი და გაჩირაღდნებულ საახალწლო სუფრასთან იზეიმებს ჩვენივე მოდგმა, ჩვენ კი... ამ ტყეში, ნადირივით მშივრები უნდა შევხვდეთ ახალ წელს.

გამოითქვა ათასი აზრი:

— მოდით, უკან დავბრუნდეთ!

— რით? ბენზინი?!

— ცეცხლი მაინც დავანთოთ ფიჩხით!

— სადაა ფიჩხი ამ ყინვაში?!

— დეპეშა გავაგზავნოთ!

— რომელი ფოსტიდან?!

ყველაფრის იმედი დაიკარგა — ღამე აქ უნდა გაგვეთია. თერთმეტი საათი იქნებოდა, რომ ქვევიდან ამომავალი მანქანის სინათლე აკიაფდა. ალბათ პარასკევას დანახვა ისე არ გახარებია რობინზონ კრუზოს, როგორც ჩვენ იმ სინათლის.

— ყველამ ერთად ვიყვიროთ, დავუძახოთ!

— არა, არა. სულ რომ შეშინდეს და გაბრუნდეს?!

გატრუნულებს ძველი „მოსკვიჩი“ მოგვიახლოვდა, მძღოლმა მოგვისმინა, მაგრამ ბენზინის მარაგი არ ჰქონდა და სიტყვა მოგვცა, სოფლიდან წამოგიღებთო. მანქანა ტალახში აბუქსავდა, ბიჭები ისე მიაწვნენ, კინაღამ სულ გადააბრუნეს. მანქანა წავიდა და თავისი მოკუნტული ფრთებით ჩვენი უკანასკნელი იმედი გაიტაცა.

ჭიუტად გვიახლოვდებოდა ახალი წელი. გვშია. ჩვენში ყველაზე თადარიგიანს დამარილებული ქაფშია (წვრილი თევზი) აღმოაჩნდა ქილით. თორმეტი საათი შესრულდა და ყველამ თითო ქაფშია ავიტაცეთ და ახალი წელი მივულოცეთ ერთმანეთს, მერე გავყუჩდით და რულიც მოგვერია.

ღამის ორ საათზე ჩვენი „მოსკვიჩი“ ისევ გამოჩნდა და ბენზინი მოგვიტანა. ყველა გამოვფხიზლდით. მანქანის გაბრუნებაზე ზრუნვა დავიწყეთ. კლუბის გამგე სხვა აზრისა იყო. მშიერსა და ღამენათევს წვერი ამოსვლოდა, თვალები ჩაცვენოდა და საცოდავად შემოგვცქეროდა.

— ძალიან გთხოვთ, ჩვენთან წამოხვიდეთ, თქვენ რომ არ ჩაგიყვანოთ, დამსჯიან; ნუ ჩაღგებით ჩემი ცოლ-შვილის ცოდვაში!

რა დასამალია, მსახიობები სენტიმენტალური ხალხია, გული აგვიჩუყდა და წავყევით.

მამლების ყივილი ისმოდა, სოფლის კლუბს რომ მივუახლოვდით. ავტობუსიდან გადმოვედით და კლუბში შევედით. რას ვხედავთ?! კლუბი სავსეა. მოზრდილები პალტოებში შეფუთულნი, ერთმანეთს მიკრულიყვნენ და მერხებზე ჩამომსხდრებს ეძინათ. ბავშვები იატაკზე დაწოლილიყვნენ და მშვიდად ფშვინავდნენ. ჩვენს ხმაურზე ყველა გამოფხიზლდა, ისეთი ტაშით შეგვეგებნენ, რომ ცხადი გახდა, უწარმოდგენოდ აქედან ვერ წავიდოდით. დეკორაციების გარეშე ისე, პალტოებში, უგრიმოდ დავიწყეთ ოთხმოქმედებიანი კომედია. სიცივისაგან ცხვირპირიდან ისეთი ორთქლი ამოგვდიოდა, ერთმანეთს ძლივს ვხედავთ. შევატყეთ, დარბაზში ზოგიერთს ისევ ეძინა. მაშინ სიმღერები მოვიშველიეთ. ბუხუტი ზაქარიაძემ აკორდეონის თანხლებით „სერცე კრასავიცა“ წამოიწყო, მერე კიდეც ვიცეკვეთ, თუმცა კიტა ბუაჩიძის პიესაში მსგავსი არაფერი ყოფილა.

ერთ საათში დავამთავრეთ ეს სასეირო სანახაობა. კმაყოფილი კლუბის გამგე მისასალმებელი სიტყვითაც გამოვიდა, მერე იქვე მჯდარ ბიჭუნას რაღაც ანიშნა, ბიჭი წამოხტა, ვიღაცის ქვეშიდან მოთელილი თაიგული გამოათრია, კლუბის გამგემ, ყვავილები რატომ დაჭყლიტეო, ბიჭს მაგრად ჩასცხო და შერჩენილი ფურცლებიც დაცვივდა. ბიჭი ჩემკენ გამოექანა და „თაიგული“ მომართვა.

საპასუხოდ გულისამაჩუყებელი სიტყვა წარმოვთქვი, ხაზი გავუსვი ქართული თეატრისადმი იმ დიდ სიყვარულს, რამაც ისინი აღოდინა.

ელენე საყვარელიძე



## თეატრალური მოთხრობა

---

ლ. ქველიძე საქართველოში ერთადერთი მოქანდაკეა, რომელმაც მთელი თავისი ნიჭიერება და შთაგონება თითქმის მთლიანად სამედლო საქმეს მიუძღვნა. ამ დარგში მან თავისი პირველი სიტყვა თქვა ჯერ კიდევ 1970 წელს მოსკოვში გამართულ მედლების პირველ საკავშირო გამოფენაზე. შემდეგ იგი მონაწილეობდა უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამართულ გამოფენებში, მეორე საკავშირო გამოფენაში, ხოლო პარიზში გამართულმა ღია საერთაშორისო კონკურსმა „მედლის აღორძინება — 1974“ ახალი გამარჯვება მოუტანა მას, როცა იქ წარმოდგენილმა საბჭოთა მედლის კოლექციამ, რომელშიც იყო მისი ნამუშევარი „დაღუპულ მეომართა დედებს“, სპეციალური პრიზი დაიმსახურა.

ლ. ქველიძემ შემოქმედებითად აითვისა უძველესი, შემდეგ ერთხანს მივიწყებული და ახლა კვლავ აღორძინების გზაზე დამდგარი ხელოვნების ამ დარგის უმდიდრესი ტრადიციები, რომლებიც, სიმბოლიკისა და ჰერალდიკის ცოდნასთან ერთად დაეხმარა მას შეექმნა ღრმაშინაარსიანი, ემოციურად საოცრად დატვირთული, იშვიათი გემოვნებითა და ტაქტით აღბეჭდილი ეს მცირე სკულპტურული ფორმები, რომელთა დიამეტრი სულ რაღაც 12-13 სანტიმეტრია.

ლ. ქველიძის სამედლო თემატიკა ნეტად მრავალფეროვანია. იგი ეხმაურება და თავის დამოკიდებულებას ამჟღავნებს მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენისადმი. მის საჭრეთელს შეუქმნია რუსთაველის, ჰომეროსის, დანტეს, პეტრარკას, ბეთჰოვენის, შექსპირის, მაიაკოვსკის, ნიკო ნიკოლაძის, გალაკტიონ ტაბიძის, ავეტიქ ისაակიანისა და ბევრ სხვა დიდებულ ადამიანთა სახეები, მედალთა სერიები „გამარჯვების 30 წლისთავი“, „ჩემი საქართველო“, „ჰიმნი ქალისადმი“, „დედობა“, „სომხეთი და სომხები“, „ბუნებისა და გარემოს დაცვა“ და მრავალი სხვა.

ლ. ქველიძის მედალი „საბჭოთა კოსმონავტი“ ინახება ქ. კალუგის ციოლკოვსკის სახელობის კოსმონავტიკის ისტორიის მუზეუმში, ჯ. ჯოისის პორტრეტი — ქ. დუბლინის (ირლანდია) ჯოისის სახელმწიფო მუზეუმში, კოპერნიკის პორტრეტი — ქ. ვროცლავში (პოლონეთი).



ლამარა ქველიძეს ჯერ არ უთქვამს თავისი მთავარი სიტყვა. მას წინ უდევს შემოქმედებითი ძიებებისა და ახალი მიღწევათა დიდი გზა.

ქეთევან თავაძე

# თითქმის დაუჯერებელი

● ინგლისში ამჟამად ყველაზე მდიდარი ძაღლია რენე, რომელსაც მისმა გარდაცვლილმა პატრონმა 7 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუტოვა.

● ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთმა რადიოსადგურმა ამას წინათ სპეციალური გადმოცემა შემოიღო... ქათმებისათვის.

როგორც ფერმერები ირწმუნებიან, ქათმები სიამოვნებით ისმენენ ამ გადმოცემებს და გაცილებით უფრო მეტ კვერცხს სდებენ.

● ბურნუთის ყნოსვის მსოფლიო რეკორდი დაამყარა 58 წლის ინგლისელმა ჯეკ როუპმა.

მან 2 წუთის განმავლობაში 75-ჯერ შეიყნოსა ბურნუთი და ერთხელაც არ დაუცემინებია.

● ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს კლუბი, რომლის დევიზია: „ხვალისთვის გადავდოთ ის, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ დღეს!“

ზარმაცების კლუბი ოცი წლის წინათ დაარსდა. მასში 2 ათასი შეძლებული ამერიკელია გაერთიანებული.

● სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ მსოფლიოს ზღვებში 1 მილიონზე მეტი ხომალდია ჩაძირული.

წყლის ფსკერის ყოველ 14 კვადრატულ მეტრზე ამჟამად თითო ჩაძირული ხომალდი მოდის.

● 1950 წელს მთელს მსოფლიოში დაიხარჯა 42 მილიონი ტონა ქაღალდი, 1970 წელს — 268 მილიონი ტონა, 1985 წელს კი, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, კაცობრიობას დასჭირდება... 700 მილიონი ტონა ქაღალდი.

● ამერიკის შეერთებულ შტატებში საგანგებო დაკვირვებით დაადგინეს, რომ დიასახლისები ყოველდღიურად ფეხით გადიან საშუალოდ 6 კილომეტრს, ოფიციანტები — 22 კილომეტრს.

ფეხით სიარულის რეკორდი ფერმერებს ეკუთვნით: ისინი ყოველდღიურად საშუალოდ 30 კილომეტრს გადიან.

მინისტრები და გუბერნატორები დღეში საშუალოდ მხოლოდ 720 მეტრის გავლას ახერხებენ.

● ინგლისელი ფსიქოლოგი დიანა მაკგინესი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქალებს, კაცებთან შედარებით, უკეთესი სმენა აქვთ, უფრო კარგად იტანენ მკვეთრ სინათლეს და სიბნელეში უკეთ არჩევენ საგნებს.

● ყოველი ინგლისელი, რომელსაც ბინაში ტელეფონი აქვს, წელიწადში საშუალოდ 531-ჯერ სარგებლობს თავისი ტელეფონით, კანადელი — 1750-ჯერ, იტალიელი—16000-ჯერ.

ტელეფონით სარგებლობის რეკორდი იაპონელებს ეკუთვნით: ისინი ყოველ წელიწადში ტელეფონით ლაპარაკობენ საშუალოდ... 20.000-ჯერ.

● ახალ ზელანდიაში მცხოვრებმა დუნკან და კარინ შეროდებმა დაქორწინების შემდეგ პირველი ორი დღე-ღამე გაატარეს... მაღაზიის ვიტრინაში მათთვის საგანგებოდ დადგმულ სარეცელზე.

ვიტრინასთან თავმოყრილი ხალხის თვალწინ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, ალერსის ნაცვლად, კუთხეში მიდგმულ ტელევიზორს არ აშორებდნენ თვალს.

ახალი მარკის ტელევიზორის ასეთი ორიგინალური რეკლამისათვის, ცოლ-ქმარმა საჩუქრად მიიღეს... საძინებელი გარნიტური.

თითქმის დაუჯერებელი



# კროსვორდი

**ჰორიზონტალურად:** 1. კუბის კომპარტიის ორგანო; 3. ამერიკული კინოფილმის „ომი და მშვიდობის“ დამდგმელი რეჟისორი; 7. სახელმწიფოთა შორის დადებული შეთანხმება; 8. სახელმწიფო ევროპაში; 11. უკრაინელი მწერალი; 13. ხარისხი, თანრიგი; 14. შოკოლადის ხე; 15. აზიის სახელმწიფო; 19. თოფისწამალი; 20. გზა საწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე; 22. ბრალდებულის სხვაგან ყოფნა; 24. პროლეტარული ჰიმნის ავტორი-კომპოზიტორი; 25. ციური სხეულის სამოძრაო გზა; 26. ცეკვა.

**ვერტიკალურად:** 1. ჯარის საუკეთესო, რჩეული ნაწილი; 2. ქიმიური ელემენტი; 4. ქართული ოპერა; 5. ევროპის სახელმწიფო; 6. იტალიელი კინორეჟისორი; 9. მცირე განსხვავება; 10. ქალთა საერთაშორისო მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე; 11. ადმინისტრაციული ორგანო; 12. ცენტრიდან წრეხაზის წერტილის შემაერთებელი სწორი ხაზის მონაკვეთი; 16. ფრანგული კინოსა და თეატრის მსახიობი ქალი; 17. სისხლნაკლებობა; 18. ამერიკელი კინომსახიობი; 21. ცხენოსნის წკეპლა; 23. ინგლისელ დიდებულთა მემკვიდრეობითი ტიტული.

კროსვორდი შეადგინა გ. ქურდოვანიძემ

გარეკანის პირველ გვერდზე: თბილისის ქორწინების სახლში ხელს აწერენ თამარ ტატიაშვილი და ბორის ნასარიძე. თარხან არჩვაძის ფოტო. გარეკანის მეოთხე გვერდზე: ლამარა ქველიძის ნამუშევრები.

გადაეცა ასაწყობად 12/XII-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/I-77 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9. ტირაჟი 52.330 შეკვ. № 4067. უე 00805. ფასი 30 კაპ,

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გიგლა
ფირცხალავა

თბილისის დინამოელები
საახალწლო ნაძვის ხესთან.




ეროვნული ბიბლიოთეკა






ИНДЕКС 76056







